ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 მაისი, 2019 №126 (8080) ფასი: 60 თეთრი

თელავში შეიძლება მერის ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს

გვ.2

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

მიხეილ სააკაშვილი კიევში ჩავიდა

გვ.2

„ერთადერთი ქვეყანა დარჩა, სადაც არ მიშვებენ, მაგრამ საქართველოშიც მალე დავბრუნდები“

„სააკაშვილის გაძლიერება ნაცმოძრაობის გაძლიერებას ნიშნავს“

გვ.4

თორნიკე შარაშენიძე: „მთაწმინდის არჩევნები ტესტი იქნება“

გიორგი გუგავა: „ოლიგარქი ივანიშვილი არჩევნებით არ წავა, უნდა ვაჩვენოთ წინააღმდეგობა“

გვ.3

გვ.3

ომარ ნიშნიანიძემ ახალი „არგო“ ააგო და ფოთიდან ვანამდე აპირებს გაცურვას

„არგონავტებიც გვყავს, მედეაც, აიეტიც და იაზონიც“

სამართალი გვ.7

ნორვეგიაში დაკავებული ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა, გრიგოლ აბრალავა, გამოუშვეს



ესპანეთის ზღვაში რუსთავის საკრებულოს წევრ დავით იშხნელის 5 წლის გოგონა დაიხრჩო

ლავას ოღლის აჯანყება ოდესის ციხეში

„იაგო ნებიერიძე გორში ზაქრო ბერძნიშვილის საფლავს მიუთითებს“

ეკონომიკა გვ.6

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

თურქმენული მაზუთის გადაზიდვაზე ტარიფის შემცირება საქართველოს შემოსავალს მოუმატებს

გვ.4

გვ.5

ანტიბიოტიკები 9,5%-ით, ტკივილგამაყუჩებლები კი 1,7%-ით გაძვირდა

ISSN 1987-9385

5 რას ნიშნავს სააკაშვილის შუამავლობა დავითგარეჯის პრობლემების მოგვარებაში?

4 ბიძინა გუჯაბიძე: „ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ და აზერბაიჯანიც“

5 ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის მთავრობაში ყველაზე მეტი საჩივარი დევნილების ბინების განაწილებაზე შემოდის“

7 ესპანეთმა რუსეთი მტრად გამოაცხადა

მიხეილ სააკაშვილი კიევში ჩავიდა

შორენა მარსაგიშვილი

„ერთადერთი ქვეყანა დარჩა, სადაც არ მიშვებენ, მაგრამ საქართველოშიც მალე დავბრუნდები“

გუშინ, 29 მაისს უკრაინის დედაქალაქ კიევში დიდი ამბები იყო. უკრაინის მოქალაქეობააღდგენილი საქართველოს მესამე პრეზიდენტი მოქალაქეობის აღდგენის მეორე დღესვე ჩაფრინდა კიევში.

აეროპორტში მას უამრავი მხარდამჭერი დახვდა.

უკრაინაში მის დაბრუნებას საქართველოშიც ზეიმობდნენ. საზეიმოდ მხოლოდ ხელისუფლების მომხრეებს არ ეცალათ. ისინი საავდრო ღრუბლივით დამძიმებულები უყურებდნენ მიშას და ნაციონალების ზეიმს.

კიევში ზარზეიმით ჩასულმა სააკაშვილმა პირობა დადო, რომ მალე ქართულ მიწაზეც დააბიჯებს.

– ერთადერთი ქვეყანა დარჩა, სადაც არ მიშვებენ, მაგრამ საქართველოშიც მალე დავბრუნდები, – ამის შესახებ მან ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, ორი წლის წინ, როდესაც უკრაინიდან გააძევეს, მას ნივთებიც არ წაუღია, რადგან სჯეროდა, რომ დაბრუნდებოდა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა საგანგებოდ მიმართა თავის მომხრეებსაც, რომლებიც მის სახელს ხმამაღლა და დიდხანს სკანდირებდნენ.

– მე მინდა ყველას მივესალმო. რთულია, გადმოვცე ემოცია, მავსებს ემოციები ამ ადამიანების დანახვის შემდეგ. მე იმ აეროპორტში დავბრუნდი, საიდანაც გამიშვეს.

მე არ ჩამოვსულვარ აქ, რომ ვინმეს სამაგიერო გადავუხადო. მე აქ ჩამოვედი იმისთვის, რომ ვაკეთო საქმე, მე ოდესაში შევძელი რაღაცების გაკეთება, მაგრამ მე არ მომცეს ბოლომდე ჩემი გეგმების განხორციელების საშუალება. მე მინდა მონაწილეობა მივიღო ახალი უკრაინის მშენებლობაში, იმ რამდენიმე მილიონ უკრაინელთან ერთად, რომლებიც იმყოფებიან აქ. ჩვენ არ გვაქვს დრო, ვიცადოთ 50 წელი, როდესაც უკრაინა შეძლებს წინ წავიდეს. მინდა მადლობა გადავუხადო ჟურნალისტ გორდონს, რომელიც იყო ერთ-ერთი ინიციატორი, მიემართა პრეზიდენტისათვის, დაებრუნებინათ ჩემთვის მოქალაქეობა.

ის დამხვდა მე ბორისპოლის საერთაშორისო აეროპორტში, როდესაც ჩამოვედი. ბოლო დღეების განმავლობაში ძალიან ბევრი ადამიანი მიჭერდა მხარს, მათ შორის უკრაინის რადას წევრები, რომლებიც ელოდნენ ჩემს დაბრუნებას, – აღნიშნა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა.

მხარდამჭერებს მან პირობა მისცა, რომ მათ ყველა კითხვას გასცემდა პასუხს. ჩვენებური ამის გაკეთებას მოგვიანებით აპირებს. გუშინ ის ძალიან აჟიტირებული ჩანდა.

სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ზელენსკი კარგი პრეზიდენტი იქნება და უკრაინას სწორი გზით წაიყვანს.

– მე მინდა ვთქვა შემდეგი, მე ვარ ბედნიერი, დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინას ყველაფერი გამოუვა, დღეს ჩემში სჭარბობს ემოციები, აუცილებლად გავცემ თქვენს ყველა კითხვას პასუხს. მადლობას გეტყვით თავდაპირველად ყველას, ვინც ახლა მოხვედით აეროპორტში. რიგით მოქალაქეებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, რომლებიც არიან ახლა აქ. მე ვფიქრობ, რომ დღეს არის დღეები, როდესაც წყდება უკრაინის აღმშენებლობის საკითხი.

უკრაინას ეს ყველაზე უკეთ გამოუვა, მე ვარ უკრაინის მიწაზე. მადლობა პრეზიდენტ ზელენსკის. მან ამ ნაბიჯით აჩვენა, რომ ის არის მზად, მიიღოს სწრაფი გადაწყვეტილებები, რომ ის არის დამოუკიდებელი მოთამაშე, რომ მას არავინ მართავს, რომ ხალხმა მისცა ხმა ოლიგარქიული სისტემის დემონტაჟს და ხალხმა ზელენსკის მხარდაჭერით, ხმა მისცა უკრაინის მომავალს.

ზელენსკიმ ძალიან კარგად იცის წინა ხელისუფლებიდან, რომ ძალიან ბევრ ადამიანს არ უნდოდა ჩემი ნახვა უკრაინის მიწაზე, როდესაც პოროშენკო იღებდა ამ გადაწყვეტილებას, ეს იყო მხდალი ადამიანის გადაწყვეტილება, როდესაც მე მართმევდა მოქალაქეობას.

დღეს დგას უკრაინისათვის ისტორიული შანსი, ჰყავდეს ასეთი პრეზიდენტი. მე ვიქნები თქვენთან ერთად და მე დაგეხმარებით ყველაფერში თქვენ, – განაცხადა სააკაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის დაბრუნებას, მისი თანამებრძოლი, „ახალ ძალთა მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი დავით საყვარელიძე, სამართლიან ნაბიჯს უწოდებს.

დავით საყვარელიძის თქმით, მიხეილ სააკაშვილის კიევში დაბრუნება უკრაინისთვისაც და საქართველოსთვისაც კარგი გზავნილია.

– ძალიან კარგი და სამართლიანი ნაბიჯია პრეზიდენტ ზელენსკის მხრიდან, რომ აღუდგინა მოქალაქეობა მიხეილ სააკაშვილს. ეს იქნება ახალი მუხტი ჩვენთვის, ყველასთვის, უკრაინისთვის, რომ ეს ენერგია, რომელიც ჩვენში, ყველაში და ამ კაცში არის და ეს კაცი არის მატარებელი ამ ენერგიის ცალსახად, რომ გამოვიყენოთ რეალური ცვლილებებისთვის, გაძლიერებისთვის, მათ შორის საქართველოს გაძლიერებისთვისაც, – განაცხადა დავით საყვარელიძემ.

საყვარელიძე ამბობს, რომ ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის გვერდით არიან, მთელი ამ პერიოდის მანძილზე სწორედ მის დაბრუნებას ელოდებოდნენ.

– ეს ხალხი, ფაქტიურად, ორი წელი იყო მოლოდინის რეჟიმში, ეს არის იშვიათი შემთხვევა, როდესაც პოლიტიკური პარტია უკრაინაში, მიუხედავად იმისა, როგორ მოექცნენ ლიდერს, არ ჩამოიშალა, დარჩა, გააგრძელა ბრძოლა. არავინ ამ ხალხს ფულს არ უხდის, არასდროს არ გადაუხდია და ყველა ელოდებოდა ბრძოლის ახალ ეტაპს.

ახლა იქნება ყველაფერი უფრო მშვიდად, ბარიკადების გარეშე და ეს ენერგია გადავა უკვე კონკრეტულ მოქმედებებში და მშენებლობაში, – აღნიშნა საყვარელიძემ.

თელავში შეიძლება მერის ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს

მერის სამი მოადგილე და საქალაქო სამსახურის სამი უფროსი თანამდებობიდან გადადგნენ

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი ბოტკოველი: „ოცნების“ შიგნით არსებულ კლანებს შორის დაპირისპირებაა“

კახეთის გულში დიდი ამბები ტრიალებს – თელავში შეიძლება მერის ვადამდელი არჩევნების ჩატარება გახდეს საჭირო. ქალაქის მერი შეიძლება საპრეზიდენტო არჩევნების გამო დაიკავოს. ერეკლეს ქალაქმა სალომე ზურაბიშვილის არჩევაზე ორივე ტურში უარი განაცხადა.

თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებები უკვე დაწერეს მერის სამმა მოადგილემ და საქალაქო სამსახურის უფროსებმა. მიუხედავად იმისა, რომ წასვლის საფრთხე მერსაც ემუქრება, ის მაინც ნათესავების მომადლიერებაზე ფიქრობს. შოთა ნარეკლიშვილმა მოადგილედ თავისი ქვისლი დანიშნა.

ითვლება თუ არა ქვისლი ნათესავად, რა ხდება თელავის მერიაში, რატომ არ გამოდის კახეთის გუბერნატორი სამუშაო კაბინეტიდან, რატომ გაფრინდა პოლონეთში თავზე ჭერჩამონგრეული სიღნაღის მერი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი ბოტკოველი ესაუბრება.

გიორგი ბოტკოველი:

– თელავის მერის სამმა მოადგილემ, მათ შორის ვიცე-მერმა ერთდროულად გადაწყვიტეს თანამდებობიდან წასვლა. სამივე მათგანს ერთდროულად მოუვიდა თავში აზრი, რომ ბიზნესის კეთება უკეთესია, ვიდრე სახელმწიფო სამსახურში ყოფნა.

პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა საქალაქო სამსახურის სამმა უფროსმა. მათაც რატომღაც ერთ დღეს გადაწყვიტეს წასვლა.

– ასე უცბად რამ გაუჩინათ წასვლის სურვილი, ვირუსია რამე?

– თავისი ნებით არც წასულან. ეს ყველაფერი 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში განცდილ მარცხს უკავშირდება. მერის მოხსნა არ გამოვა, რადგანაც რიგგარეშე არჩევნების ჩატარება მოუწევთ. ამიტომაც გადაწყდა მერის მოადგილეების და საქალაქო სამსახურების უფროსების გაშვება.

საქმე გვაქვს „ოცნებაში“ არსებულ შიდა კლანურ დაპირისპირებასთან, რომელშიც ჩართული არიან სუსი და საკრებულო. მერი და საკრებულო სხვადასხვა კლანს წარმოადგენენ.

არჩევნების დამთავრების შემდეგ ცოტა ხანი მოიცადეს და ახლა დაიწყეს საქმეების გარჩევა. წაგებას ერთმანეთს აბრალებენ.

საქალაქო სამსახურების გადამდგარი უფროსების ადვოკატობის სურვილი არ მაქვს, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი გადაბრალების პროცესს შეეწირნენ.

ჩინოსნების გათავისუფლება არ შეჩერდება, როცა ნახავენ, რომ ამით არაფერი გამოუვიდათ, მერის მოხსნაც მოუწევთ.

შოთა ნარეკლიშვილი ჯერ ისევ ინარჩუნებს პოზიციებს და მას ერთი მოადგილის დანიშვნის უფლებაც მისცეს. ამან მოადგილედ, არც მეტი, არც ნაკლები, თავისი ქვისლი დანიშნა.

– რანაირი ქვისლია?

– ცოლის ბიძაშვილის ქმარია.

– ცოლის დის ქმარიც რომ დაენიშნა, ნათესავი არ გამოვიდოდა. რამდენიმე წლის წინ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის.

– ღარიბაშვილმა რახან თქვა, ეგრე იქნება. საინტერესო ის არის, რომ ნარეკლიშვილის ქვისლი მაშინაც მასთან მუშაობდა, როცა ის ფოსტის უფროსი იყო. მერი როცა გახდა, ქვისლი მერიაში სამხედრო სამსახურის უფროსად გადმოიყვანა. ახლახან კარგი ადგილი გათავისუფლდა და ნარეკლიშვილმაც ქვისლი მოადგილედ დანიშნა. უცხოს ხომ არ მოიყვანდა.

ვიცე-მერი მისი ძმაკაცი იყო, მაგრამ ის გაუშვა. ეტყობა, ძმაკაცებს აღარ ენდობა და ქვისლს გამოუცხადა ნდობა. გვერდით ის ადამიანი უნდა გყავდეს, ვისაც ენდობი. დიდი ამბავი, თუ ის ნათესავია და ამას ნეპოტიზმის სუნი ასდის.

წინ საინტერესო მოვლენები გველოდება. დასანიშნია საქალაქო სამსახურის სამი უფროსი, მერის ორი მოადგილე. უკვე ვიცით, ვის დანიშვნაზეც მიდის საუბარი, მაგრამ გვარების დასახელებისგან ჯერ თავს ვიკავებთ.

– ეგენიც ნარეკლიშვილის ნათესავები ხომ არ არიან?

– რაღაცა შინაურობები აქვთ, მაგრამ მაინც დაველოდოთ. ეს ყველაფერი შეიძლება ამაო აღმოჩნდეს და მერის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა გახდეს საჭირო.

– მერის ვადამდელი არჩევნების დანიშვნა თელავში „ოცნებისთვის“ სარისკოა. საპრეზიდენტო არჩევნები ორივე ტურში წააგეს და რაღა მერობის კანდიდატზე გადაირევიან თელაველები.

– წინასწარ რამის თქმა ძნელია. ყველაფერს მომავალი გვაჩვენებს. ხელისუფლებას დაშინება და მოსყიდვა აღარ გაუვა. ასე გაგრძელება, უბრალოდ, შეუძლებელია.

ამბავი, რომელსაც მოგიყვებით, თელავს არ ეხება, მაგრამ ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებს ხალხის მიმართ.

27 მაისს სიღნაღის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დაინიშნა. სხდომა 16.00 საათისთვის დანიშნეს. სხდომაზე ერთადერთი საკითხი იხილებოდა – ბიუჯეტში ცვლილებები. განმარტებითი ბარათი ხელში 13.00 საათზე ჩამივარდა. იქ ეწერა, რომ 72.000 ლარით მცირდებოდა სოციალური მუხლი.

დაფინანსება უმცირდებოდა სოციალურად დაუცველებს, სტიქიით დაზარალებულებს. სამაგიეროდ, 20.000 ლარით იზრდებოდა სამივლინებო ხარჯები. 15.000-ით ზრდიდნენ ტრანსპორტის მომსახურების ხარჯებს.

ამასთან დაკავშირებით მაშინვე ავტეხეთ განგაში. სიღნაღის საკრებულო იძულებული გახდა, რაღაცები შეეცვალა. პროტესტით შეშინებულებმა სოციალურ მუხლებს ხელი ვეღარ ახლეს, მაგრამ გარე განათებას მოაკლეს და სამივლინებო ხარჯები მაინც გაზარდეს.

ძალიან მალე გაირკვა, თუ რისთვის სჭირდებოდათ ასე სასწრაფოდ ამ ხარჯების გაზრდა. 28 მაისის ღამეს სიღნაღის მერი, თავის მოადგილესთან და ანსამბლ „ზედაშეს“ ორ წევრთან ერთად პოლონეთში გაფრინდა. ამ ანსამბლს არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არა აქვს სიღნაღის მუნიციპალიტეტთან.

– ანსამბლის წევრები რაღაში სჭირდებოდათ, ცეკვის და სიმღერის გარეშე ვერ ძლებენ სიღნაღის მერიაში?

– რაში სჭირდებოდათ, არ ვიცი. ანსამბლის ორ წევრს რა უნდა გაეკეთებინა, ალბათ მერმა და მისმა მოადგილემაც თავი „ზედაშეს“ წევრებად გამოაცხადეს.

საინტერესოა, რომ მერის გაფრენიდან რამდენიმე საათში სიღნაღის ორ საბავშვო ბაღში ჭერი ჩამოინგრა. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ქვემო მაჩხაანის და ზემო ბოდბეს საბავშვო ბაღები სულ ახლახან შეაკეთეს.

– კახეთის გუბერნატორის ახალ ინიციატივაზე იქნება საინტერესო თქვენი აზრი. ირაკლი ქადაგიშვილმა თქვა, რომ შეიძლება თუშეთთან დამაკავშირებელი საბაგირო გზა აშენდეს. ამაზე რას ფიქრობთ?

– ამაზე რას ვფიქრობ და ეგ საბაგირო ქადაგიშვილმა, ჯობია, თავის კაბინეტიდან გაჭიმოს სადმე. კაბინეტიდან საერთოდ არ გამოდის და ცოტა ჰაერზე მაინც გაისეირნებს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი გუგავა: „ოლიგარქი ივანიშვილი არჩევნებით არ წავა, უნდა ვაჩვენოთ წინააღმდეგობა“

„ლეიბორისტული პარტია“ შუალედური არჩევნების მეორე ტურში არანაირი ფორმით არ ჩაერთვება, მათ შორის იგულისხმება რომელიმე კანდიდატისთვის მხარდაჭერაც. „ლეიბორისტები“ ხელისუფლების შეცვლის ეფექტურ გზად თბილისის ცენტრალურ ქუჩებში ხალხის გამოსვლას და მმართველი ძალისთვის წინააღმდეგობის მოძრაობის აუცილებლობას განიხილავენ. ეს განცხადება „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ გააკეთა, რომელსაც მთავარი პოლიტიკური თემების შესახებ ვესაუბრეთ:

იაგო ნაცვლიშვილი

– საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობა აღუდგინეს. თქვენ რას ელოდებით ჯერ უკრაინაში, ხოლო შემდეგ ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში, ვინაიდან არ იყო ინტენსიური ურთიერთობა მაშინ, როცა სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორი იყო?

– მე ვფიქრობ, არ იქნება მნიშვნელოვანი ცვლილება ქართულ-უკრაინულ ურთიერთობაში, ვგულისხმობ ცვლილებას რადიკალური ფორმით. ეს ურთიერთობები მანამდე გაცივდა და შემდეგაც განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა ჩვენთვის სავაჭრო პარტნიორიც არის და გარკვეული სტრატეგიული მოკავშირეებიც ვართ ჩვენ და უკრაინა ერთმანეთისთვის. აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ რადიკალურ ცვლილებებს არ ველოდებით ამ მიმართულებით.

– ურთიერთობები რატომ გაცივდა? რას უკავშირებთ ამას?

– არა მგონია აქ მხოლოდ სააკაშვილის ფაქტორი იყოს. ეს ურთიერთობები ჩვენ ავურდავურიეთ უკრაინასთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან. ეს საერთო პოლიტიკაა, როდესაც საქართველოს ოლიგარქიული მმართველობის მიზანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება კი არ არის, არამედ პირად ინტერესებზე გადის. რადგანაც მათი გეგმა არის პირადი ბიზნეს-კორუფციული ინტერესი. აქედან გამომდინარე ჩვენ ნელ-ნელა ვკარგავთ იმ სახეს და ფუნქციას, რომელიც ჩვენ გვქონდა, ან ის, რა მიმართულებებიც მომავალში უნდა გავაძლიეროთ, რათა ერთი მხრივ ეკონომიკურ-სოციალურმა მდგომარეობამ აიწიოს, ხოლო მეორე მხრივ პოლიტიკური ფუნქცია იყოს გამოკვეთილი და ამით საერთაშორისო თანამეგობრობის არეალში ვიყოთ.

– ანუ ეს შედეგი მოიტანა „ქართული ოცნების“ პოლიტიკამ?

– რა თქმა უნდა. იგივე აზერბაიჯანთან ვითარების დაძაბვა განპირობებული არის წმინდა კორუფციული ინტერესებით. მოგეხსენებათ, გადაზიდვებში ჩართული არის ივანიშვილის უშუალო გარემოცვა. დარწმუნებული ვარ, ეს თემა პროვოცირებული არის იმ კორუფციული ინტერესებით, რომელიც მათ გააჩნიათ რკინიგზასთან, ენერგომატარებლებთან, გადაზიდვებთან მიმართებაში. დარწმუნებული ვარ, ეს თემა ამით იყო პროვოცირებული, რომელმაც ურთიერთობების ასეთი დაძაბვა გამოიწვია. ესენი მოქმედებენ არა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე – რა აწყობს სახელმწიფოს, რას მოუტანს ქვეყანას, რა მოგებას ნახავს, რას მოუტანს საერთაშორისო ასპარეზზე და რით განიმტკიცებს პოზიციებს და ა. შ., არამედ ეს განპირობებულია პირადი ბიზნეს და ანგარებით გამოწვეული მოტივებით და ამით მოქმედებენ. სახელმწიფო მათ მიაჩნიათ იმათ, რომ რაც შეიძლება ბევრი ფული მოიხვეჭონ შიგნით თუ გარეთ და სწორედ ასეთ დროს იმ სავალალო მდგომარეობას ვიღებთ, რაშიც, სამწუხაროდ, დღეს ვართ.

– ხელისუფლებისგან გვესმის, რომ საქართველო არის რეგიონის ლიდერი ქვეყანა. ეს მხოლოდ ფრაზებია და რეალობასთან ახლოსაც არ არის?

– რა თქმა უნდა, მხოლოდ ფრაზებია. თუ ამ ფაქტებით ვიმსჯელებთ, ამ შემთხვევაში ვხედავთ, რომ სომხეთმა ამ მიმართულებით, რასაც ეკონომიკური წინსვლა ჰქვია, პოზიციები გაიძლიერა იმ ცნობილი მოვლენების შემდეგ. მათ ჩვენზე ორჯერ მეტი ეკონომიკური ზრდა დააფიქსირეს, ბოლო მონაცემებით მათი ეკონომიკური ზრდა 7.1%-ია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენზე უარესი გეოპოლიტიკური და რესურსული უზრუნველყოფა გააჩნიათ.

რაც შეეხება ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, რეგიონში ყველაზე უარესი მაჩვენებელი ჩვენ გვაქვს და მაინტერესებს, რით ვამაყობთ?! ლამის შუასაუკუნეობრივი, ფეოდალური მმართველობის სისტემა ჩამოვაყალიბეთ და ბოლო პერიოდში დემოკრატიის ინდექსები და მაჩვენებლებიც გამოქვეყნდა, ამ მხრივაც მინიმუმ კიდევ 10-მა ქვეყანამ გაგვისწრო. რა მიმართულებით ვართ წამყვანი ქვეყანა თუნდაც ჩვენს რეგიონში.

– ახსენეთ დემოკრატია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი არის არჩევნები. არ გამოგიხატავთ პოზიცია და მე მაინტერესებს, რა პოზიცია გაქვთ „ლეიბორისტებს“, დაუჭერთ თუ არა მხარს შალვა შავგულიძეს მთაწმინდის მაჟორიტარობისთვის ბრძოლაში მეორე ტურში?

– ამ არჩევნებში ჩვენ მიზანმიმართულად არ ვმონაწილეობდით, ვინაიდან ვიცოდით, რა შედეგი იქნებოდა, ამიტომ ჩვენ აქტიურად ჩართულები არ ვართ მეორე ტურის, განმეორებითი არჩევნების თუ ხელახალი არჩევნების ფორმაში. არ ვიყავით არანაირი ფორმით და არც ახლა ვართ ჩართული მასში რაიმე ფორმით. მიგვაჩნია, რომ მას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენ ამ დროს ისეთი ეროვნული საკითხებით ვართ დაკავებული, როგორიც არის დავითგარეჯის საკითხი, ასევე ისეთი სოციალური საკითხებით, როგორიც არის ტაქსისტების პრობლემა, ან ისეთი სოციალური საკითხით, როგორიც არის ბავშვთა კვება და ა. შ.

„უზნეობის პიკია, როცა მთავარ ჯალათებს სურთ, რომ გირგვლიანის საქმეზე დამნაშავედ შავგულიძე წარმოაჩინონ“

– ანუ ამ საკითხზე, რაც ეხება არჩევნების მეორე ტურს, პოზიციას არ გამოხატავთ?

– რა თქმა უნდა, არა. არანაირი დამოკიდებულება არ გვაქვს. ამას არსებითი მნიშვნელობა საერთოდ არ გააჩნია არსებული სიტუაციის შესაცვლელად. ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ამ ე. წ. არჩევნებს.

– გასაგებია, რომ ჩართული არ იქნებით, მაგრამ ზოგადი შეფასება როგორია თქვენი მხრიდან, ელოდებით, რომ ის დაძაბულობა, რაც პირველ ტურში ზუგდიდში იყო, დღეს უკვე მთაწმინდაზე გადმოინაცვლებს? ვნახეთ როგორი ობსტრუქცია მოუწყო „ოცნებამ“ შავგულიძეს პარლამენტში. როგორია თქვენი დამოკიდებულება გირგვლიანის თემაზე, როცა შავგულიძეს ადანაშაულებენ?

– რა თქმა უნდა, ეს არის უზნეობის პიკი, როდესაც მთავარ ჯალათებს სურთ, რომ ამაში დამნაშავე შავგულიძე გამოიყვანონ. თავის დროზე შავგულიძეც და მათ შორის ჩვენც დაგვარბიეს, დაგვშალეს, სისხლის სამართლის საქმეები აღძრეს ჩვენ წინააღმდეგ და ა. შ. ეს სწორედ გირგვლიანის მკვლელობის თემას და სხვა აქტუალურ საკითხებს უკავშირდებოდა. მაშინ ეს ბატონები ან წინა რეჟიმის მსახურები იყვნენ, ან სადღაც საბანკო სფეროებში ტკბილად იყვნენ მომჯდარნი, მაგრამ თუ ქართული საზოგადოება თავისი პოლიტიკური პროტესტით არ გამოვიდა ცენტრალურ მოედნებზე და არ დაუფიქსირა საკუთარი პოზიცია, ვერანაირი არჩევნების გზით ვერ წავა ოლიგარქი. მუდმივად გადაიხდის დიდ ფულს და შეეცდება არჩევნების ტოტალურ გაყალბებას.

– თქვენ მაინც რევოლუციურ გზას უჭერთ მხარს?

– გნებავთ რევოლუციური დაარქვით, ან რაც გინდათ ის, მაგრამ არჩევნები უნდა მოვიგოთ. ეს არის მთავარი არსი. საზოგადოებამ ეს უნდა დაინახოს და უნდა ვაჩვენოთ დიდი პოლიტიკური ფრონტი, წინააღმდეგობა, აქციები პოლიტიკური მოთხოვნებით, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება აქ რეჟიმის შეცვლა.

– ანუ, ეს აქციები უნდა გაიმართოს იმისათვის, რომ ხელისუფლება სამართლიან არჩევნებზე წამოიყვანოთ?

– რა თქმა უნდა. სამართლიან არჩევნებზე კი არა და უნდა მოუგო, აჩვენო ამ ხელისუფლებას, რომ მათი დრო ამოიწურა.

– კი, მაგრამ სამართლიანი არჩევნები თუ არ ჩატარდა, მაშინ როგორ მოხდება ეს?

– რა თქმა უნდა, დემოკრატიულ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები უნდა ჩატარდეს და არჩევნების გზით უნდა მოხდეს ხელისუფლების ფორმირება.

ომარ ნიშნიანიძემ ახალი „არგო“ ააგო და ფოთიდან ვანამდე აპირებს გაცურვას

შორენა მარსაგიშვილი

„არგონავტებიც გვყავს, მედეაც, აიეტიც და იაზონიც“

პარლამენტის ყოფილი წევრი ომარ ნიშნიანიძე ამ დღეებში ერის ალაპარაკებას ნამდვილად შეძლებს. მან თავის თანამოაზრეებთან ერთად ახალი „არგო“ ააგო და ახლა ამ „არგოთი“ აპირებს, რომ გაცუროს.

რატომ გადაწყვიტა არგონავტების გაცოცხლება, ეყოლებათ თუ არა იაზონი და მედეა, სად იშოვეს ოქროს საწმისი? – ამის შესახებ ომარ ნიშნიანიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– რატომ გადაწყვიტეთ ახალი „არგოს“ აგება და ამით რის დამტკიცებას აპირებთ. პოლიტიკაში თქვენი პირველი გამოჩენაც გემებს უკავშირდებოდა, ლამის ანეკდოტად დადიოდა, ნიშნიანიძემ თქვა, ადრე ქუთაისში პორტი იყო.

– მაშინ რუსთავი 2-მა ამიგორა შავი პიარი, თითქოს ქუთაისში პორტის გაკეთებას ვაპირებდი. არადა არასდროს მითქვამს, რომ ქუთაისში პორტი უნდა გავაკეთო. მხოლოდ ის ვთქვი, რომ ქუთაისთან ახლოს შეიძლება პორტის აშენება. ამასთან დაკავშირებით უამრავი მეცნიერული მასალა არსებობს.

„არგოს“ აშენებას ამასთან არანაირი კავშირი არა აქვს. მე ვარ ისტორიკოსი. ძველ ისტორიაში ვკითხულობ ლექციებს და ამ თემაზე სტუდენტებთან არაერთხელ მქონია საუბარი.

შემოდგომაზე რომ დავიწყეთ სწავლა და არგონავტებამდე მივედით, მაშინ გაგვიჩნდა „არგოს“ აგების იდეა. მით უმეტეს, რომ ტიმ სევერინის მოგზაურობიდან 35 წელი სრულდებოდა. ვთქვით, ამ თარიღის აღსანიშნავად ქუთაისმა რატომ არ უნდა აიღოს ინიციატივა. სხვა თუ არაფერი, ქუთაისი ძველი კოლხეთის დედაქალაქი იყო.

აი, ასე გაჩნდა იდეა, რომ ტიმ სევერინის მოგზაურობის 35 წლისთავს ახალი „არგოთი“ შევხვდებოდით.

შევადგინეთ გეგმა, მოვიძიეთ მასალები, დავუკავშირდით საჭირო ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ ჩვენი დახმარება. ამ პროცესში გავიცანით ძალიან კარგი ადამიანები, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ, რომ ჩვენი გეგმა სისრულეში მოგვეყვანა.

– ძნელი იყო ახალი „არგოს“ აგება?

– თავიდან ძალიან ადვილად მოგვეჩვენა ყველაფერი. მერე თანდათან გართულდა. ბრტყელძირიან ნავებს ერთ კვირაში აგებენ. არგონავტების გემს ტიმ სევერინი აკეთებდა 1,5 წელი. ჩვენ 2 თვეში, ჯოჯოხეთური შრომით ავაშენეთ ძალიან ლამაზი ხომალდი.

31 მაისს ეს ხომალდი კიდევ უფრო ლამაზი იქნება, თავისი აფრით, არგონავტებით, არფით და ორფეოსით.

– ორფეოსიც გყავთ?

– როგორ არ გვყავს. ორფეოსიც გვყავს და იაზონიც.

– მედეა?

– მედეას დაგვახვედრებენ ვანში. აიეტიც ქუთაისიდან გავუგზავნე ვანელებს. ასე რომ, აიეტიც გვეყოლება.

ახალ „არგოს“ 31 მაისს ზეიმით გამოვაცილებთ ფოთიდან. გავიხსენებთ ისტორიას, გემს გავატარ-გამოვატარებთ. მერე დავიძვრებით ვანისკენ, სადაც 2 ივნისს ჩავალთ. ჩვენი ბოლო გაჩერება იქნება ჭყვიში. 2 ივნისს ვანში ვანელობა ტარდება. „არგოს“ გამოჩენა ამ ზეიმს ძალიან გაალამაზებს.

ლევან სანიკიძის და გურამ გაბისონიას ოცნება იყო ქუთაისში არგონავტიკის მუზეუმის დაფუძნება. მათ ამის გაკეთება ვერ შეძლეს. მე შევეცდები ჩემი ენთუზიაზმით ეს გავაკეთო. მერე სხვები იზრუნებენ მის განვითარებაზე. ეს ჩვენი „არგოც“ არგონავტიკის მუზეუმში დაიდებს ბინას.

– თქვენ მიერ აგებული „არგო“ მოგზაურობისთვის უსაფრთხოა, მოხდა მისი გამოცდა?

– ამ გემს დღეს, 30 მაისს გამოვცდით. მთავარია, რომ წყალი არ ჟონავს, ჩაძირვით არ ჩაიძირება, წყალზე დადის და მეტი რა უნდა გააკეთოს.

თავის დროზე ტიმ სევერინსაც დასჭირდა დახმარება. მას მიეხმარნენ, ბუქსირიც გამოიყენა, ნიჩაბიც, ისიც, ისიც და ისიც.

ჩვენ ვალდებული არა ვართ ყველა ის მონაკვეთი გავიაროთ, რაც ტიმ სევერინმა და უფრო ადრე არგონავტებმა გაიარეს. ამ გზის დიდ ნაწილს გავივლით. მთავარი ისაა, რომ ამ გემით ისტორიას გავაცოცხლებთ.

დახმარება თუ დაგვჭირდა, დაგვეხმარებიან, 2 ივნისს აუცილებლად ვიქნებით ჭყვიშში.

– ჭყვიშში რატომ არის ბოლო გაჩერება, რახან ვანელობა ტარდება?

– ტიმ სევერინი იქ მივიდა. ჩვენ მის გზას ვიმეორებთ. ეს მოგზაურობა იმ კარგი კაცის გახსენებაც იქნება, რომელმაც ქართველებს ჩვენი დიდი ისტორია შეგვახსენა და ჩვენ რატომ არ უნდა გვახსოვდეს ეს კაცი.

– ოქროს საწმისი თუ იქნება?

– რა თქმა უნდა, იქნება. ყველაფერი იქნება. ჩვენ შევეცდებით, რომ ისტორია გავაცოცხლოთ. ახლა საზოგადოებაზეა დამოკიდებული, როგორ მიიღებენ ამ ამბავს.

– ამ დღეებში საზოგადოებაში თქვენს „არგოზე“ ბევრი იქირქილეს.

– ეგ არაფერი. ეს გაივლის. „არგო“ მუზეუმში დარჩება. და, რაც მთავარია, ამან სტუდენტები დააინტერესა. იცით რამდენი მათგანი მონაწილეობდა „არგოს“ მშენებლობაში? თან ხალისობდნენ და თან ისტორიას სწავლობდნენ.

„სააკაშვილის გაძლიერება ნაცმოძრაობის გაძლიერებას ნიშნავს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს

– სააკაშვილს ზელენსკიმ უკრაინის მოქალაქეობა დაუბრუნა. რას შეცვლის ეს პროცესი და რისი მოლოდინი აქვს ნაცმოძრაობას?

– ნაცმოძრაობა ძირითადად მაინც დგას მიშას რეიტინგზე. ამ ადამიანს ძალიან ბევრი ხმა მოაქვს ნაცმოძრაობისთვის. არ მგონია, რომ ისინი ცდილობდნენ მიშასგან დისტანცირებას, უბრალოდ, არ ეთანხმებოდნენ რაღაცებში. დღეს მიშას გაძლიერება ავტომატურად ნიშნავს ნაცმოძრაობის გაძლიერებას.

ეს ყველაფერი მაშინვე იწვევს ისტერიკას და დემორალიზაციას „ქართული ოცნების“. ერთი ვაი-უშველებელი ატყდა.

– რისი ეშინია „ოცნებას“?

– ერთი მხრივ, „ოცნებას“ ხომ აწყობს, რომ სააკაშვილი ბუათი დააშინოს ამომრჩეველი, ჩვენ ხომ ცუდები ვართ, მაგრამ ის უარესია. თუმცა მათ ეს აწყობთ იმ სიტუაციაში, როცა სააკაშვილი იქნება შეზღუდული. თუ ახლა მიშამ აიშვა უკრაინაში, იმ თვალსაზრისით, რომ მას გაეხსნა პოლიტიკური კარიერის გაგრძელების საშუალება უკრაინაში და რესურსები მოიზიდა, ასეთი მიშა აღარ აწყობთ.

სწორედ ეს არის მათი ვაი-უშველებელის მიზეზი, რასაც მეც და სხვებიც ვუყურებთ „ოცნების“ მხრიდან.

– უკრაინის გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ სააკაშვილი მოღალატეა. შეუთანხმებლობაა მის პერსონასთან დაკავშირებით?

– ჯერ ზელენსკი ხომ ვერ აკონტროლებს ყველაფერს. რას ჰქვია მოღალატეა?! თუ მოღალატეა, გაასამართლოს სასამართლომ და გამოუტანოს განაჩენი.

ის სასამართლო უფრო ობიექტურია, ვიდრე ჩვენი. ასე რომ, გენპროკურორის განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, ნაჩქარევია. არ შეიძლება ადამიანი მოღალატედ გამოაცხადო და ასეთი მძიმე ბრალდება წაუყენო.

– ანუ ზელენსკის საკუთარ გუნდშიც ჰყავს

მოწინააღმდეგეები?

– რასაკვირველია. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თუ წარმატებას მიაღწია, უფრო გაიმყარებს გავლენებს და პოზიციებს, ვნახოთ, რა იქნება.

– რამდენად გაძლიერდება ის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ?

– არ ვიცი, უკრაინა ისეთი ქვეყანაა, რომ ძნელია, პროგნოზი გააკეთო. ბოლო 4-5 წელია, რაც ვუყურებ. ამ ქვეყანამ ვერ გაამართლა იმედები, ვერ შეძლო კორუფციის დამარცხება, ვერ შეძლო მობილიზაცია. რამდენად შეძლებს ამას ზელენსკი, ვერ გეტყვით. ღმერთმა ხელი მოუმართოს.

– ზელენსკის სჭირდება სააკაშვილი და ამიტომ აბრუნებსო. რაში სჭირდება? გავლენები აქვს ისევ დასავლეთში სააკაშვილს?

– სააკაშვილს რაღაც გავლენები კი აქვს, მაგრამ ეს არ არის გადამწყვეტი დღეს უკრაინისთვის. იქ სააკაშვილს შეიძლება გააკეთებინონ, როგორც კარგი გაგებით, ისე ცუდი გაგებით შავი საქმე.

– შავ საქმეში რა იგულისხმება?

თორნიკე შარაშენიძე: „მთაწმინდის არჩევნები ტესტი იქნება“

– შესაძლოა, მას ჩააბარონ ანტიკორუფციული ბიურო და უთხრან, დაიჭირე კორუმპირებული უკრაინელები. უკრაინელი რომ დანიშნონ ამ თანამდებობაზე, ბევრი უკრაინელი ამის გაკეთებას მოერიდება. იქ იმდენად გადაბმულია კლანები ერთმანეთზე, რომ ერთმანეთის დაჭერას მოერიდებიან.

– სააკაშვილის ხელით გააკეთებენ ამას?

– დიახ. ეს ადამიანი ამას არ ერიდება, ყველამ კარგად ვიცით. არც საქართველოში ერიდებოდა და არც იქ მოერიდება. აი, ეს შეიძლება გააკეთებინონ.

– როგორი იქნება სააკაშვილის გეგმები საქართველოსთან?

– მას ასეთი წარმოდგენა აქვს, რომ თუ გაძლიერდება უკრაინაში, მაშინ აქაც შეძლებს სიტუაციის შეცვლას. ხოლო თუ არ გაძლიერდა, იგივე გაგრძელდება. იგი უკრაინას უყურებს, როგორც ტრამპლინს საქართველოში დაბრუნებისთვის.

– „ოცნებასაც“ ამის ხომ არ ეშინია?

– კი, რა თქმა უნდა, ვხედავთ, რა დღეშიც არიან.

– ახლოვდება 2020 წლის არჩევნებიც, უფრო აქტიური იქნება სააკაშვილი?

– დიახ, რა თქმა უნდა, ასე იქნება. 2020-ისთვის „ოცნება“ რომ არ იქნება კარგ ფორმაში, ამას ყველა ვუყურებთ. ეს ეტყობა ლარის კურსს და ბევრ სხვა რამესაც.

– ამ ფონზე მაინც დარწმუნებულია ხელისუფლება, რომ გაიმარჯვებს. მესამედაც უნდა მოვიდეთო, ასეთი განცხადებებიც მოვისმინეთ.

– რა თქმა უნდა. მათ განზრახული აქვთ ხელისუფლებაში დარჩენა. მათ უმრავლესობას მეტი ხომ არაფერი შეუძლია, გარდა იმისა, რომ პარლამენტში ისხდნენ და ფული აკეთონ. გაგიგიათ, „ოცნების“ უმრავლესობას რამე შეექმნას და გაეკეთებინოს? ან წარმატებისთვის მიეღწიოს რამე სფეროში? ასე რომ, ერთადერთი, უნდა იცხოვრონ ამითი. ისხდნენ პარლამენტში და ფული აკეთონ. პარლამენტის გარეთ მათი უმრავლესობა არის ნოლი. როგორც იყვნენ 2012 წლამდე.

– თუ სააკაშვილის ფაქტორი დაემატება ნაცმოძრაობას, ეს კიდევ უფრო ხომ არ დააფრთხობს ამომრჩეველს და ხელ-ფეხს გაუხსნის „ოცნებას“?

– „ოცნებასაც“ სწორედ ამის იმედი აქვს. ისინი ელოდებიან, რომ ამომრჩეველი იქნება პასიური და დარჩება სახლში. ხოლო არჩევნების დღეს გარეკავენ თავიანთ მომხრეებს, ზოგს მოსყიდვით, ზოგს დაშინებით, ზოგსაც ხვეწნით და ასე მოიგებენ არჩევნებს.

მაგრამ თუ კატასტროფულ ნიშნულზე ჩამოეშვა „ოცნების“ რეიტინგი, მერე შესაძლოა ისე გადაუსწროს გაერთიანებული ოპოზიციის რეიტინგმა, რომ ვერ უშველოს ადმინისტრაციულმა რესურსმა.

დღეს „ოცნება“ აპათიის დანერგვას ცდილობს მოსახლეობაში და უიმედობის, რომ მაინც არაფერი არ შეიცვლება და ჯობია, სახლში დარჩეთ არჩევნების დღეს. აი, ეს არის მათთვის ყველაზე მომგებიანი.

ძალიან კარგი ტესტი იქნება მთაწმინდის არჩევნები. თუ არ მივიდა ხალხი არჩევნებზე, ძალიან დიდი შანსია, რომ ადმინისტრაციული რესურსით ისევ გაათრიონ თავიანთი ახალი საამაყო კანდიდატი – კახაძე. თუ აქტივობა გაიზრდება, მაშინ კახაძეს შანსი აღარ ექნება.

კახაძე ხან ვის პარტიაში იყო, ხან ვის პარტიაში და დღეს ივანიშვილის მზეს იფიცებს. ხომ აქვს საზღვარი ყველაფერს?! თუ ოპოზიციის კანდიდატი მოიგებს, ეს სერიოზული სიგნალი იქნება. მთაწმინდიდან თუ დაიწყება „ოცნების“ პოზიციების რღვევა, ეს მისთვის ძალიან ცუდი იქნება.

– ანუ შესაძლოა, 2020-მდე ყველაფერი შეიცვალოს?

– სააკაშვილის უკრაინაში დაბრუნებით შესაძლოა, ყველაფერი იმაზე სწრაფად შეიცვალოს, ვიდრე ამას ვინმე ელის.

– შესაძლოა, საპროტესტო ტალღის აგორებას მისცეს ბიძგი სააკაშვილმა?

– ტალღის აგორებას, სხვა ყველაფერთან ერთად, სჭირდება ფინანსური რესურსი. ნაცმოძრაობას დღეს ეს რესურსი არ აქვს. მიშას გაძლიერება უკრაინაში აჩენს ამის შანსს.

– დააფინანსებს იქიდან?

– რა თქმა უნდა, რატომაც არა?!

ბიძინა გუჯაბიძე: „ჩვენც ფრთხილად უნდა ვიყოთ და აზერბაიჯანიც“

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობას“ დავითგარეჯზე ესაუბრა.

ბიძინა გუჯაბიძე:

– ტყუილად აბრალებენ სალომე ზურაბიშვილს თემის გააქტიურებას. ეს თემა მანამდეც აქტიური იყო და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაწყდეს.

– პრეზიდენტს აბრალებენ ამ საკითხის გააქტიურებას, რადგან აზერბაიჯანში ვიზიტის დროს ეს საკითხი დასვა. საუბრები იყო იმაზეც, რომ გაყიდა და დაუთმო.

– სალომე ზურაბიშვილისთვის საზიანო ნაბიჯის გადადგმის დაბრალება სრული აბსურდია. პრეზიდენტის მხრიდან ამ საკითხის დაყენება სულაც არ ნიშნავს გადაცემას. იქ გადაცემაზე საუბარი არ ყოფილა. მან მეგობრულად, დიპლომატიური ენით აზერბაიჯანულ მხარეს ურჩია, მეგობარ ქვეყნებს ამ საკითხის მიფუჩეჩება არ შეგვშვენისო და დელიმიტაციის საკითხი დროზე გადავწყვიტოთო.

– სალომე ზურაბიშვილმა მაშინ ეს საკითხი რატომ დასვა?

– როგორც მახსოვს, იქ ჩვენი სამხედროები ავიდნენ, რადგან მომლოცველებს ასვლას უშლიდნენ. ამიტომ ვიზიტის დროს ამ გამწვავებულ თემაზე გამწვავებულ პირობებში პრეზიდენტმა თავისი აზრი გამოთქვა იქ, სადაც საჭირო იყო. მას შინ გულზე მჯიღის ცემა არ დაუწყია. საკითხი იქ დასვა, სადაც საჭირო იყო. აზერბაიჯანულ მხარეს მეგობრულად ურჩია, მოდი ეს საკითხი გადავწყვიტოთო. ამაში ცუდი რა არის?!

ხელისუფლებამ ეს საკითხი უნდა მოაგვაროს. ამ პროცესში სალომე ზურაბიშვილიც გასათვალისწინებელია. მას მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს – მსოფლიოს არაერთ ქვეყანაშია ნაყოფი დიპლომატიური მისიებით და სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდა. ამიტომ მისი გამოცდილების გამოყენება აუცილებელი ხდება.

– სააკაშვილმა განაცხადა, რომ მას კარგი ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან და მზად არის, ჩაერთოს ამ მოლაპარაკებებში შუამავლის სახით.

– ეს არის აბსურდი.

– რატომ?

– ეს არის ბაქი-ბუქი. მისი ასეთი გამოსვლა არის ავანტიურა და მიუნჰაუზენის პოზიცია. თუ ასე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რატომ არ დაელაპარაკა ალიევს მისი ხელისუფლების დროს. ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი რა შეიძლება ყოფილიყო აზერბაიჯანთან ურთიერთობაში, მაგრამ ამათ ანაცვალეს სოკარი, ანაცვალეს ნავთობპროდუქტებზე კონტროლი ქვეყნის შიგნით და აზერბაიჯანელებთან სიტუაცია აღარ გაამწვავეს.

გახსოვთ თქვენ რურუას, კალანდაძისა და სხვების განმარტებები. მაშინ სააკაშვილის ხელისუფლებამ თქვა, ახლა რა დროს ეგ არის, ჩიჩხიტური და უდაბნოს მონასტერი თითქოს აზერბაიჯანის კუთვნილება იყო. მათთვის ეს არააქტუალური იყო, მაინც ვერაფერს გავხდებითო და ნაციონალების მხრიდან ამ თემაზე საუბარი შეწყდა.

– იგივე მესმის ახლა „ოცნების“ ხელისუფლებაზეც. ამბობენ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ გაყიდა დავითგარეჯი, ანაცვალა ბიზნესწილებს და სხვა. ამაზე რა შეგიძლიათ თქვათ?

– „სოკართან“ დაკავშირებით შემიძლია გითხრათ – ნათლად ვხედავ, რომ „სოკარის“ მართვაში ნაცმოძრაობის წარმომადგენლები მონაწილეობენ.

– ვინ?

– ხეთაგური მონაწილეობს სოკარის მმართველობაში. ახლა ჩვენ დაგვაბრალონ ის, რასაც ნაცმოძრაობამ საფუძველი ჩაუყარა, აბსურდია. „სოკარს“ ხომ არ ვეტყვით, ნაცმოძრაობის კადრები გყავთ მმართველობაში, ჩვენ არ მოგვწონს და უნდა გამოყაროთო. ეს უხერხულ მდგომარეობას შექმნის. ბიზნესში უხეშად ჩარევა არ გამოვა და ხელისუფლებაც თავს იკავებს.

– თქვენ გაქვთ იმედი, რომ ხელისუფლება მოლაპარაკების გზით ამ საკითხს გადაწყვეტს?

– როგორც მე ვიცი, იქ საუბარი იყო საძოვრების რამდენიმე ჰექტარზე, ხრიოკი ადგილია. სამონასტრო კომპლექსიდან აზერბაიჯანის მხარეს რომ გადახედავ, უზარმაზარი მინდვრებია. ამისთანა მნიშვნელოვან ძეგლთან დაკავშირებით სიტუაცია თუ გამწვავდა, თავისუფლად შეიძლება რამდენიმე ჰექტარ საძოვარში გადავუცვალოთ. ამაზე კომუნისტების დროსაც ყოფილა საუბარი, მაგრამ ვერ განხორციელდა. რადგან სიტუაცია გამწვავდა, მირჩევნია რაღაც ჩვენ დავთმოთ, რაღაც აზერბაიჯანმა დათმოს. თუმცა, დასათმობი აზერბაიჯანელებს უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ჩვენ.

ბოლშევიკების დროს ძალიან არალეგიტიმურად აზერბაიჯანს გადაეცა საინგილო, რაც

სტალინისა და ორჯონიკიძის დამსახურებაა. საქართველო და აზერბაიჯანი სხვა სახელმწიფოებად არ მოიაზრებოდა. დიდი „სამშობლოსთვის“ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ და მიწებს აძლევდნენ.

– ერთხელ ჩვენთვისაც გადმოეცათ მიწები, ჩვენთვის მიწა არავის გადმოუცია, პირიქით, ყველა მეზობელს ჩვენი მიწები დაურიგეს. რაღა ჩვენს ხარჯზე იყო ერთი სახელმწიფო და ძმური ურთიერთობა.

– სამწუხაროდ, ჩვენი ორი ქართველი იყო ამ საქმეში ჩარეული. არც ჩვენ ვიყავით დაბადებული, არც მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, რომ ხელი შეგვეშალა.

როგორც ჩვენთან არიან ურაპატრიოტები, ასევე არიან აზერბაიჯანშიც. ამიტომ ამ საკითხს დიპლომატიური მიდგომა სჭირდება.

აზერბაიჯანის მხარეს გასათვალისწინებელი ექნება ის მაგისტრალი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის და აზერბაიჯანის იურისდიქციას არ ექვემდებარება. თავისთავად, ჩვენ უფრო მიგვიწევდება ხელი ამ მაგისტრალებთან. ასე რომ, მხოლოდ ჩვენ არ გვმართებს ფრთხილად მოქმედება, აზერბაიჯანმაც ფრთხილად უნდა იმოქმედოს.

თურქმენული მაზუთის გადაზიდვაზე ტარიფის შემცირება საქართველოს შემოსავალს მოუმატებს

– თურქმენეთიდან მაზუთის ევროპის მიმართულებით გადაზიდვასთან დაკავშირებით თუ საქართველო და აზერბაიჯანი ერთობლივად მიიღებენ გადაწყვეტილებას ტარიფის შემცირებაზე, ეს პოზიტიურად აისახება, როგორც ტვირთნაკადების სტატისტიკაზე, ასევე დამატებითი შემოსავლის მომტანი იქნება როგორც აზერბაიჯან-საქართველოს ტერმინალებისთვის, ასევე რკინიგზების, საპორტო და გემთმომსახურე მომსახურე კომპანიებისათვის, – ამის შესახებ „კომერსანტთან“ ბიზნესის ანალიტიკოსმა ჯაბა თარიმანაშვილმა განაცხადა.

როგორც ბიზნესის ანალიტიკოსი აღნიშნავს, თურქმენბაშის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ 13 მაისს აუქციონზე 200.000 ტონა დაბალგოგირდიანი მაზუთის რეალიზაცია მოახდინა. აღნიშნული მოცულობა ევროპის მიმართულებით 5-7 თვის განმავლობაში უნდა გადაიზიდოს. აღნიშნული მოცულობის გადაზიდვა სავარაუდოდ 5.000 ტონა ტევადობის სამდინარო-საზღვაო ტანკერებით ვოლგა-დონის არხის გავლით განხორციელდება რუსეთის კავკაზის პორტთან მდებარე აფრამაქსის ტიპის (100.000 ტონიან) ტანკერებში, რომლებიც სავაჭრო კომპანიების მიერ გამოიყენება, როგორც მცურავი სათავსები. ტანკერის შევსების შემდგომ, გადაზიდვა ევროპის ან აზიის მიმართულებით ხორციელდება.

– ვოლგა-დონის არხში ნაოსნობა აპრილის დასაწყისიდან ნოემბრის ბოლომდე შეიძლება. ხოლო ზამთრის პერიოდში რუსეთში მდინარეები იყინება და არხში ნაოსნობა იზღუდება. შესაბამისად, ზამთრის პერიოდში თურქმენული ნავთობპროდუქტების მოცულობები აზერბაიჯანის ტერმინალების გავლით, აზერბაიჯან-საქართველოს რკინიგზების მეშვეობით ხორციელდება საქართველოში მდებარე ბათუმისა და ყულევის ნავთობტერმინალებში, სადაც დიდი ზომის (30-80 ათასი ტონა) პარტიის შეგროვების შემდეგ ხორციელდება ტანკერებში დატვირთვა და შემგომი გადაზიდვა ევროპის მიმართულებით, – აცხადებს ჯაბა თარიმანაშვილი.

ექსპერტის მოსაზრებით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის შესაბამისმა სტრუქტურებმა, ერთობლივი ძალისხმევით შეძლონ გამჭოლი ტარიფების ჩამოყალიბება და აღნიშნული შეთავაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სავაჭრო კომპანიებისათვის, იმ მიზნით, რომ ზაფხულის პერიოდშიც მოხერხდეს მოცულობის საქართველოს გავლით გადაზიდვა.

კომერსანტი

რას ნიშნავს სააკაშვილის შუამავლობა დავითგარეჯის პრობლემების მოგვარებაში?

მარიამ მჭედლიშვილი

აზერბაიჯანის ოფიციალურ პირებს არ გაუკეთებიათ კომენტარი საქართველოს ექსპრეზიდენტის განცხადებაზე დავითგარეჯის თაობაზე. მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა, იყოს შუამავალი ქართულ-აზერბაიჯანულ მოლაპარაკებებში დავითგარეჯის შესახებ.

ამ მტკივნეულ საკითხზე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაც უსუსურად გამოიყურება, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ჩართვა პროცესში გაუგებარია.

იმ დროს, როცა სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, მისმა მოკავშირემ და პარტნიორმა ილჰამ ალიევმა დავითგარეჯი (აზერბაიჯანული ტერმინით, კეშიკჩიდაგი) ნაკრძალად გამოაცხადა. ოფიციალურად, მან 2007 წელს გამოსცა განკარგულება კეშიკჩიდაგის სახელმწიფო ისტორიულ-კულტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. იმავე დროიდან აზერბაიჯანი შეუდგა კომპლექსის ინტენსიურ შესწავლას, დაცვას და პოპულარიზაციას. იქ საქმიანობენ არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, არქიტექტურისა და მშენებლობის, ასევე კულტურისა და ხელოვნების სამეცნიერო ინსტიტუტების თანამშრომლები. კომპლექსის მთის უმაღლეს მწვერვალს ამ დროიდან ილჰამ ალიევის პიკი დაერქვა.

სააკაშვილს თავის დროზე ამაზე რეაგირება არ მოუხდენია. 2011 წელს იყო მითქმა-მოთქმა იმაზე, რომ მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი ბაქოში დახურულ კარს მიღმა ესაუბრა ილჰამ ალიევს და ისინი დავითგარეჯის გაყოფაზე შეთანხმდნენ.

დღეს ამის დაზუსტება ძნელია. სიტუაცია მძიმეა როგორც საზღვრის დადგენის, ისე ძეგლის წარმომავლობის თვალსაზრისით.

აზერბაიჯანი უცხოელებს არწმუნებს იმაში, რომ კეშიკჩიდაგი ქართული დავითგარეჯი არ არის. მათი მტკიცებით, კლდის ტაძრები კავკასიურ-ალბანური ძეგლია. ის იყო ასეთი ადრეულ შუასაუკუნეებში. ალბანელების, ანუ აზერბაიჯანელების წინაპრები ამ ადგილების კლდეებში 2000 წლის წინ სახლობდნენ. ხელოვნური

გამოქვაბული იქ მე-8-15 საუკუნეებში გაკეთდა. ალბანური სამოციქულო ეკლესია განსხვავდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი და სომხეთის გრიგორიანული ეკლესიებისაგან. ალბანური ეკლესია 1836 წელს მეფის ბრძანებით გაუქმდა.

ბაქოელი მეცნიერები და ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ალბანურ ძეგლებს ეპატრონებიან როგორც ქართველები, ისე სომხები. მათი მტკიცებით, ქართული ფრესკები კეშიკჩიდაგში მეცხრამეტე საუკუნეში გაჩნდა. ეს ჩატარებულმა კვლევებმა გამოამჟღავნა. აზერბაიჯანელები ადრე ამ ობიექტების მიმართ სრულ გულგრილობას იჩენდნენ. ამას ბაქოში თავისებურ ახსნას უძებნიან. ამ განმარტებებით, აზერბაიჯანელებმა ისლამი მიიღეს. გარდა ამისა, ალბანური ქრისტიანული ძეგლები ძირითადად მთებზეა განლაგებული, რომლებზეც ასვლა უჭირდათ, საბჭოთა დროს კი აქ საწვრთნელი პოლიგონი მოქმედებდა, სადაც არავის უშვებდნენ.

ისლამზე უარი აზერბაიჯანელებს არც ახლა უთქვამთ, სამონასტრო კომპლექსი ისევ მთაგორიან ადგილზე მდებარეობს. როგორც ჩანს, ბაქოს გააქტიურებაში სხვა მიზეზებია.

აზერბაიჯანი ბოლო დროს იუნესკოშიც გააქტიურდა და იქ თავისი შენატანების წილი გაზარდა. ერთ თვეში, 30 ივნისიდან 10 ივლისამდე, ბაქო მასპინძლობს გაეროს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 43-ე სესიას.

დიდი ალბათობით, აზერბაიჯანი ამას საკუთარი ინტერესების დასაცავად გამოიყენებს და უნიკალური კეშიჩიდაგის ალბანურ წარმომავლობაში ფორუმის მონაწილეებსაც დაარჯერებს.

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის მთავრობაში ყველაზე მეტი საჩივარი დევნილების ბინების განაწილებაზე შემოდის“

ნათია ხურცილავა

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აფხაზეთის საკითხზე საუბრობს.

– ბატონო ჯემალ, როგორც აფხაზეთის მთავრობაში, ისე უმაღლეს საბჭოში ცვლილებები მოხდა. როგორია თქვენი პროგრამა, რას აპირებთ?

– ჩვენი მთავარი პრობლემა მეოთხედ საუკუნეზე ცოტა მეტია, ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიაა. რადიკალური ცვლილებები რთულია. თუმცა, ვტკეპნოთ ერთი ადგილი, ესეც წარმოუდგენელია. დრო იცვლება და ახალი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე ვდგავართ. შესაბამისად, ახალი პრობლემების ადეკვატური უნდა ვიყოთ. პრობლემა კი იგივეა, მაგრამ ვითარება შეიცვალა დროსთან ერთად.

საქართველოს მთავრობის გენერალური ხაზი არის მშვიდობის მშენებლობა. ეს არის ჩვენი პოლიტიკის მთავარი მიმართულება. ხელისუფლებამ კონკრეტული პროგრამა, სამშვიდობო ინიციატივა გაახმოვანა – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც ითვალისწინებს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ჩვენს მოქალაქეებთან, რომლებიც ენგურს გაღმა ცხოვრობენ. ასევე განათლების მიმართულებით ჩვენი მოქალაქეების ჩართვას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში.

ენგურს გაღმა, უკვე იმდენად პოპულარულია ეს დოკუმენტი, რომ აფხაზების და ქართველების მიერ ასობით განაცხადია შემოტანილი. მზად არიან ჩაერთონ ეკონომიკური საქმიანობით მშვიდობის მშენებლობაში. საუბარია როგორც ქართველ, ისე აფხაზ მოქალაქეებზე, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. აქ, ჩვენი როლიც იქნება განსაზღვრული. შეიძლება დაფინანსებაში მოვიღოთ მონაწილეობა, პარტნიორების მოძებნაში დავეხმაროთ და ა.შ. აფხაზი რომ გადმოვა, მას ხელშეწყობა დასჭირდება. მაგალითად, ბიზნესპარტნიორის მოძებნაში და ა.შ.

– დევნილთა კომპაქტური ჩასახლებების მიმართულებით, სადაც მართლაც გაუსაძლისი მდგომარეობაა, რას აპირებთ, რომ ამ ადამიანების ყოფა შემსუბუქდეს?

– თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ყველაზე მეტი საჩივარი ჩვენთან ბინების განაწილებასთან დაკავშირებით შემოდის. ბინების განაწილებაში ჩვენ მონაწილეობას არ ვიღებთ. ეს სამინისტროს ეხება. ცენტრალური ხელისუფლება არის ამ საკითხზე პასუხისმგებელი. მოდიან ადამიანები, რომლებიც თავს დაჩაგრულად მიიჩნევენ და გვეუბნებიან, კორუფციაა, რომ ბინები სამართლიანად არ ნაწილდება. სიმართლე გითხრათ, ჩვენთვის არის ერთი, ორი ფაქტი ცნობილია, როდესაც ბინები მიიღეს ადამიანებმა, რომელთაც უკვე აქვთ ბინა! მეტი ქულები აქვთ, ვიდრე, მაგალითად, ზუგდიდში დევნილთა კომპაქტურ ჩასახლება „ვექტორში“ წარმოუდგენელ პირობებში რომ ცხოვრობს ოჯახი. იქ არსებული რეალობის აღწერა შეუძლებელია. ადამიანები ცხოვრობენ ისეთ პირობებში, სადაც საპირფარეშო ნახევარი კილომეტრით არის დაშორებული და საცხოვრისში იატაკის ქვეშ დაგუბებული წყალია.

პრობლემა არსებობს და ჩვენ ამ პრობლემის დაყენებას ცენტრალური ხელისუფლების წინაშე ვაპირებთ, რომ სამართლიანობა მაქსიმალურად, 100 პროცენტით იყოს დაცული. ადამიანებში უსამართლობის განცდა ძალიან მძიმე პროტესტს იწვევს და, ცხადია, ეს ჩვენ არ გვინდა.

ყოველდღიურ კომუნიკაციას ვაპირებთ დევნილთა ყველა ჩასახლებასთან, რომელიც კი არსებობს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს იქნება პირადი ჩასვლები თუ ინტერნეტკომუნიკაცია. პრობლემები არსებობს და ამ პრობლემების მოგვარება შეიძლება, ზოგი შეიძლება ჩვენ მიერვე მოგვარდეს, ზოგიც ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით. თუ ეს ვერ მოხერხდა და საჭირო გახდა ცენტრალური ხელისუფლების ჩართვა, ასეც იქნება.

– გალში მცხოვრები ქართველების უფლებების დაცვის კუთხით რას აპირებთ? როგორი იქნება თქვენი პოლიტიკა ამ მიმართულებით? ცნობილია, რომ გალში მცხოვრებ ქართველებს მოქალაქეობა ჩამოართვეს, არა აქვთ არანაირი დოკუმენტი, რომლითაც ისინი გადმოსვლას შეძლებდნენ. კეტავენ ენგურის ხიდს, ადმინისტრაციულ საზღვარს და როცა მათ უნდათ, მხოლოდ მაშინ ხსნიან.

– აბსოლუტურ, დეტალურ ინფორმაციას ვფლობთ თუ რა ხდება. როგორ ილახება ენგურს გაღმა ადამიანის უფლებები განათლების მიმართულებით, სოციალური თუ პოლიტიკური მიმართულებით. პოლიტიკური უფლება, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს. ადამიანები კანონგარეშე არიან გამოცხადებული. ჩვენ ვაპირებთ სარჩელების მომზადებას და ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოში შეტანას.

საერთაშორისო კონფერენცია გვყავდა მოწვეული, რომელსაც 20 ქვეყნის წარმომადგენელი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, მათ შორის, ჰაგის სასამართლოს მოსამართლეები ესწრებოდნენ. ჩვენ გავიარეთ კონსულტაციები, დავაყენეთ ეს საკითხები და გადაწყდა, რომ მომზადდეს სარჩელები გალში ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართულებით.

– სარჩელები მომზადდება რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ?

– დიახ, რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ, რომლებიც შუა საუკუნეების მეთოდებით ლახავენ ადამიანის უფლებებს. ვინაიდან ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ და ეფექტურ კონტროლს სწორედ ის ახორციელებს, სარჩელიც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში და ჰაგის სასამართლოებში რუსეთის წინააღმდეგ შევა.

– ჟენევის ფორმატთან დაკავშირებით როგორია თქვენი პოზიცია? ნაწილი მიიჩნევს, რომ გადასახედია, ნაწილი თვლის, რომ ალტერნატივა არ აქვს, რადგან რუსეთის პირისპირ არ უნდა დავრჩეთ. პრეზიდენტი ამბობს, რომ ჟენევის ფორმატის გააქტიურებაა საჭირო.

– ჟენევის ფორმატის შენარჩუნება აუცილებელია მანამ, სანამ უკეთესი ფორმატი არ შეიქმნება. ეს ფორმატი უნდა არსებობდეს, მაგრამ არ შემიძლია არ დავეთანხმო პრეზიდენტს, რომ საჭირო არის უფრო ეფექტური ფორმატი. ისეთი ფორმატი, სადაც არა მხოლოდ ისაუბრებენ, არამედ გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

– აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით, რომელიც ერთგვარად თანმდევია აფხაზეთის პრობლემის, თქვენი პოზიცია როგორია?

– თუ საბაჟო მდინარე ფსოუზე განთავსდება, მაშინ მე დღესვე ვიტყვი, რომ რკინიგზა უნდა გაიხსნას, მაგრამ თუ საბაჟო მდინარე ენგურზე უნდა განთავსდეს, მაშინ ეს ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია, ეს ჩვენთვის სრულიად მიუღებელი იქნება. საქართველოს მთავრობა ამაზე არასდროს არ წავა.

– ამ ხელისუფლების პირობებში რკინიგზის გახსნაზე არის საუბარი, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– მე არ მაქვს არანაირი ინფორმაცია, რომ ხელისუფლება რაიმე სახის პოლიტიკურ დათმობაზე მიდიოდეს ამ საკითხთან დაკავშირებით.

ანტიბიოტიკები 9,5%-ით, ტკივილგამაყუჩებლები კი 1,7%-ით გაძვირდა

2019 წლის აპრილში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამკურნალო საშუალებებზე ფასები გაიზარდა. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში სისხლძარღვთა გამაფართოებელი მედიკამენტები – 4.5%-ით გაძვირდა; ტკივილგამაყუჩებელ მედიკამენტებზე ფასი – 1.7%-ით არის გაზრდილი; ანტიბიოტიკებზე „– 9.5%-ით; 6.4%-ით არის გაძვირებული ვიტამინები; საჭმლის მომნელებელი სისტემის პრეპარატების ფასი 5.6%-ით ; ხოლო ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების -' 4.8%-ით არის მომატებული. ასევე გაზრდილია 1.8%-ით საავადმყოფოს მომსახურების ფასებიც.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ზოგადად მედიკამენტებზე ფასების ზრდის ტენდენცია გვაქვს. ეკონომიკის ექსპერტი ირაკლი მაკალათია „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ სამკურნალო საშუალებების გაძვირება მათ შორის იმპორტზე დამოკიდებულებით არის განპირობებული.

– აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ფულად ხარჯვით სისტემაში ყველაზე დიდი წილი სურსათს და მედიკამენტებს აქვს. რაც შეეხება ფასის მატების მიზეზებს, ორი ძირითადი მიზეზი გვაქვს: პირველი ის, რომ ადგილობრივი წარმოება არ გვაქვს და იმპორტზე ვართ დამოკიდებული. შესაბამისად, ლარის გაუფასურება მნიშვნელოვნად მოქმედებს და ფასებზეც ახდენს გავლენას. გარდა ამისა, ბაზარზე არის ძირითადად ოლიგოპოლიური სისტემა, რადგან ბაზრის მცირე მოთამაშეები მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ და ერთნაირად მზარდი ფასებია, რადგან თვითონ კომპანიები ზრდიან ფასებს, – აღნიშნავს მაკალათია.

რაც შეეხება ფასების ცვლილებას, მიმდინარე წლის აპრილში წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური მონაცემებით, სისხლძარღვთა გამაფართოებელი და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები – 0.03%-ით გაიაფდა; ანტიბიოტიკებზე ფასები – 0.02%-ით გაიზარდა; 0.11%%-ით არის შემცირებული ვიტამინების ღირებულება; საჭმლის მომნელებელი სისტემის პრეპარატების ფასი 0.07%-ით შემცირდა; ხოლო ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების ღირებულება – 0.08%-ით არის შემცირებული. ასევე შემცირებულია 0.15%-ით საავადმყოფოს მომსახურების ფასებიც.

ბპნ.გე

პაატა ასათიანი: „მამაჩემის მკვლელობის საქმეს არც „ოცნება“ იძიებს“

გულიკო ბალაძე



სააკაშვილი, რომელსაც უკრაინის მოქალაქეობა აღუდგინეს, საქართველოში არაერთ სისხლის სამართლის საქმეშია ბრალდებული, რაც მისი პრეზიდენტობის პერიოდს უკავშირდება. ზოგ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებებიც არსებობს.

ერთ-ერთი საქმე, რაზეც მიხეილ სააკაშვილს ბრალდება დაუსწრებლად აქვს წაყენებული, თბილისში, პარლამენტის წინ, 2011 წლის 26 მაისს მიმდინარე მშვიდობიანი აქციის სასტიკი დარბევა და შედეგად ორი ადამიანის მკვლელობაა.

2011 წლის 26 მაისს რუსთაველზე აქციის სასტიკი დარბევისას აქციის ორი მონაწილე სულიკო ასათიანი და ნიკა კვინტრაძე დაიღუპნენ. მათ ოჯახებზე ზეწოლა მეორე დღიდანვე დაიწყო. საქმის გამოძიება კი დღემდე არ არის დასრულებული.

„ახალი თაობა“ სულიკო ასათიანის შვილს პაატა ასათიანს ესაუბრა.

– ბატონო პაატა, რა ხდებოდა მაშინ?

– 2011 წლის 26 მაისს მამა დაიღუპა და 27 მაისს უკვე ჩვენთან უშიშროების თანამშრომლები იყვნენ მოსულები. მათი მხრიდან იყო ზეწოლები, მუქარები.

– მამის დაღუპვის ამბავი თქვენ როდის გაიგეთ?

– 27 მაისს იყვნენ მოსულები და გვითხრეს. უშიშროებამ ჯერ გაგვაფრთხილა, რომ უნდა გავჩუმებულიყავით, შემდეგ კი გვითხრა, რომ მამა გარდაიცვალა.

– როგორ მდგომარეობაში იყო გარდაცვლილის ცხედარი?

– ნაწამები იყო. შეიძლება ცოტა ადრეც დააპატიმრეს და ადრე დაიღუპა იმიტომ, რომ მიცვალებულს უკვე გახრწნა ჰქონდა დაწყებული.

– გარდაცვლილი ოჯახში როდის მოიყვანეს?

– 27 მაისს საღამოს.

– და ამ დროს უკვე გახრწნა ჰქონდა დაწყებული?

– დიახ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ადრე აიყვანეს, აწამეს და წამებით დაიღუპა. ჩვენ გვითხრეს, რომ მაღაზიის თავზე ავიდა და ელექტროსადენთან შეხებით გარდაიცვალაო. რომ არ დავიჯერეთ, მერე გვემუქრებოდნენ, უნდა დაიჯეროთო. თუმცა, ვერ დამაჯერეს. ბოლოს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, თუ არ დავიჯერებდი, ცხედრის დაწვას აპირებდნენ.

მიცვალებული აღარ გავაწვალებინე. შეიძლება სულ დაეწვათ, რადგან თავიდან მითხრეს, დენის გამანაწილებელში შევიდა და დაიღუპაო.

როცა ვუთხარი, ასეთი დებილები სად გვნახეთ, ასეთ ტყუილებს რომ გვაჯერებთ-მეთქი, მერე თქვეს, მაღაზიის თავზე ავიდაო.

– მსმენია, რომ გასვენების პერიოდში მეზობლებსაც ეშინოდათ მოსვლა.

– მეზობლები კი მოდიოდნენ, მაგრამ ნათესავები ვიღაც-ვიღაცებს აფრთხილებდნენ, კონტროლი იყო დაწესებული. ოპოზიციიდან მამას თანაგუნდელებს აფრთხილებდნენ, რომ არ მოსულიყვნენ. ვინც მათთვის საშიშად მიიჩნეოდა, აკონტროლებდნენ, ეუბნებოდნენ, ზედმეტად ხმა არ ამოეღოთ. იქ უშიშროების თანამშრომლები დადიოდნენ და ჟურნალისტებთან ურთიერთობის უფლებას არ გვაძლევდნენ. ჭირისუფლებს გვაფრთხილებდნენ, ინტერვიუ არ მისცეთო.

პირველად ნანა ლეჟავა იყო მოსული ჩვენთან. იკითხა, ჟურნალისტებს თუ ღებულობთო. ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს თქვენ ჟურნალისტებს არ ღებულობდითო. არც არავინ მოსულა-მეთქი. ამ ინფორმაციასაც უშიშროების სამსახურები ავრცელებდნენ. თუ მოვიდოდნენ, უნდა გაგვეშვა. ამაზე კამათიც მოგვივიდა.

2011 წელს, ვინც ბიძინას დაუდგა გვერდში, პირველი ვიყავით იმ იმედით, რომ მისი ხელისუფლების პერიოდში საქმის გამოძიება დასრულდებოდა, მაგრამ ისევ ისე დარჩა, როგორც იყო.

ამ საქმის გამოძიებით დღესაც არ ვარ კმაყოფილი. გამომძიებლები ისევ ძველები არიან და არ იძიებენ. საქმიდან გამომდინარე ასე ჩანს.

– რამდენადაც ვიცი, თქვენს ოჯახზე ზეწოლა შემდგომში ნაცმოძრაობის დეპუტატმა გააგრძელა. მოდიოდა გემუქრებოდათ და გაშანტაჟებდათ.

– დიახ, გაფრთხილებები და მინიშნებები იყო. პირდაპირ არ გვეუბნებოდნენ. ნაცმოძრაობის დეპუტატი პაატა ლეჟავა იურისტია და პირდაპირ კი არ გვეუბნებოდა, მიგვანიშნებდა.

– რაზე მიგანიშნებდათ?

– მოქრთამვასაც ცდილობდა, გვეუბნებოდა, რომ ყველანაირად გვერდში დაგვიდგებოდა, თუ გავჩუმდებოდით. მინიშნებები დედაჩემის მიმართ იყო – ქალბატონი შორენა აქტიურობდა და მას მინიშნებებით აფრთხილებდა, კარგი შვილი გყავს და შვილს გაუფრთხილდიო.

– შვილს გაუფრთხილდითო, ანუ თქვენით ემუქრებოდნენ.

– კი, ბატონო. ასე ემუქრებოდნენ მამაჩემსაც. მამაჩემი სოფლის საკრებულოს წევრობაზე არჩევნებში მონაწილეობდა. მათ ხელს ძალიან უშლიდა. პრინციპული ადამიანი იყო და უშიშროება მასაც აფრთხილებდა, თავის ახლობლებს მიუგზავნიდნენ, უნდა გაჩერდე, თქვენსავით არავინ აქტიურობსო. მამა ძალიან აქტიური იყო და არც ერთი ხელისუფლების ნამოქმედარი არ მოსწონდა. სამსახურსაც სთავაზობდნენ, მაგრამ არანაირად არ გატყდა.

– თქვენ დღეისთვის მიმდინარე გამოძიების მიმართ საყვედური გამოთქვით. მართლა ისევ ის გამომძიებლები არიან, ვინც მაშინ საქმეს ვითომ იძიებდნენ?

– დიახ, საქმის გამოძიების ტემპით უკმაყოფილო ვარ. გამომძიებელი შესაძლოა ვერ შეიცვალოს, მაგრამ ცოტა, ალბათ, ნებაც უნდა იყოს. უფრო მეტი მოთხოვნა უნდა იყოს ხელისუფლების მხრიდან, რომ მნიშვნელოვანი საქმეები გამოიძიონ.

გარდაცვლილებს ვეღარ გავაცოცხლებთ, მაგრამ სამომავლოდ, პრევენციისთვის გამოძიება საჭიროა, რომ ისეთი საშინელებები, რაც მაშინ ხდებოდა, აღარ მოხდეს. მხოლოდ მამაჩემის საქმე რომ ყოფილიყო, ჯანდაბას, მაგრამ 20-30 საქმეა გამოსაძიებელი, რომელიც ძალიან გახმაურებულია, ყველა საქმის გამოძიება დაწყებულია, მაგრამ გამოძიებული არ არის.

წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულობების გამოძიებით მხოლოდ მე კი არ ვარ უკმაყოფილო, ბევრია უკმაყოფილო. „ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლები ამას თვითონაც ხვდებიან – ამბობენ, კოაბიტაციით ბევრი დავაშავეთო.

– გამომძიებლებმა რა დაადგინეს?

– დადგენილია, რომ 25 და 26 მაისს მიცვალებულები დამალეს, მაღაზიის თავზე თავისით რომ არ ასულან, დადგენილია. მანქანაც დადგენილია და ისიც იციან, ვინ მიიყვანა პროზექტურაში.

– ვინ მიიყვანა?

– უშიშროების წარმომადგენლებმა.

– მგონი, ბრალი სააკაშვილსაც აქვს წარდგენილი.

– დიახ, მგონი, დაუსწრებლად აქვს წარდგენილი. მერაბიშვილმა იმდენი ბოროტება ჩაიდინა და 4 წელი აქვს, მე უკმაყოფილო ვარ.

– ახლა ხელისუფლებაში დაბრუნება რომ უნდათ, იმაზე რას იტყვით?

– რა უნდა ვთქვა. ამაზე პასუხი „ოცნებამ“ უნდა თქვას.

– სააკაშვილი უკრაინაში დაბრუნდა. მისი თანაპარტიელები ამბობენ, რომ იქ მის მიმართ სამართლიანობა აღდგა და მალე აქაც აღდგება სამართლიანობა და დაბრუნდება საქართველოში. როგორ ხვდებით თქვენ ასეთ განცხადებებს?

– ძალიან ცუდად. სამწუხარო ამბავია, მაგრამ რას ვიზამ, ეგ უკვე ჩემს ძალებს აღემატება. თუ ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნდებიან, პირადად მე ქვეყნიდან წავალ. მაშინაც მინდოდა ქვეყანა დამეტოვებინა, მაგრამ ამის საშუალებას არ მაძლევდნენ, უშიშროება უკან დამდევდა. ერთი მანქანით მე რომ მივდიოდი, სამი მანქანით უკან მომდევდნენ. ახლა რომ შევატყობ, ხელისუფლებაში მოდიან, მათ მოსვლამდე ქვეყანას დავტოვებ.

– არადა, ნაციონალები ამბობენ, ჩვენ რომ მოვალთ, სამართლიანობა აღდგებაო.

– საქართველოდან ყველა გარბის და მოსახლეობა აღარ რჩება. მხოლოდ ნაციონალები დარჩებიან და იცხოვრებენ. თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში დაბრუნდა, ვინც მოუკვლელი დარჩა, ყველას დახოცავს.

დავით ლორთქიფანიძე სულ გვაქცევდა ყურადღებას, როცა დეპუტატი იყო და მერეც. პარლამენტის ტრიბუნიდანაც აკეთებდა განცხადებებს ჩვენს საქმეზე.

– დავით ლორთქიფანიძემ ერთხელ ინტერვიუში მოგვიყვა იმის შესახებ, თუ როგორ დაბრუნდა ხაშურიდან იმის გამო, რომ თქვენზე ზეწოლას ახდენდნენ.

– მუდმივად კონტროლის ქვეშ ვიყავით, ისიც კონტროლის ერთ-ერთი დეტალი იყო. კარზე ჯახუნი და მსგავსი ქმედებები იყო და დედაჩემი შეშინდა.

– ვინ გიჯახუნებდათ?

– რაღაც ინციდენტი იყო.

– ნაციონალებმა მოაწყვეს ინციდენტი?

– დიახ, გვაკონტროლებდნენ. პერიმეტრი გაკონტროლებული ჰქონდათ, ჟურნალისტები სად მიდიოდნენ, ისიც იცოდნენ. ნანა ლეჟავა რომ მოვიდა, სამი-ოთხი კაცი მოგვიგზავნეს, გაუშვითო. იმ პერიოდში ბატონი ბიძინა ახალი გამოჩენილი იყო, ჩვენთან უნდოდა მოსვლა და გვაკონტროლებდნენ. ტელეფონებიც ისმინებოდა. უკანა კარზე იყო ჯახუნი და დავითსაც გავაგებინეთ. ბატონი დავითი ყველანაირად გვერდით გვედგა.

ბატონმა ბიძინამ, სანამ ვანში შეხვედრაზე მივიდოდა, ჩვენთან გამოიარა და ჩვენც გვერდით ვედექით. შეხვედრაზეც გააკეთა განცხადება, ეს ოჯახი ძალიან დაიჩაგრა, აუცილებელია ამ საქმის გამოძიებაო. ასე რომ, ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ბიძინას დაპირებაც იყო.

გამოძიება ჩვენთვის კი არ ხდება, ყველასთვის არის საჭირო. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დადგეს ისეთი ჟამი, ხალხს ხელისუფლების არ ეშინოდეს. ხელისუფლებას უნდა ეშინოდეს ხალხის. მაშინ კიდევ ხალხს ეშინოდა ხელისუფლების.

– ნიკა კვინტრაძეზე რა იცით?

– ნიკა კვინტრაძე თბილისელი იყო. მის შესახებ ინფორმაცია ზოგადად ვიცი. ჩვენს საქმეებს ერთად იძიებენ. ფოტოებიც არის, ნიკა კვინტრაძეს ხელბორკილები რომ ადევს.

– იმედია, ბოლოსდაბოლოს გამოიძიებენ.

– მეც მაგის იმედი მაქვს. სანამ „ოცნება“ ხელისუფლებაშია, უნდა გამოიძიონ, თორემ თუ ნაციონალები მოვიდნენ, აღარ გამოგვაძიებინებენ. ღმერთმა არ ქნას.

ჩვენი საქმეების მტკიცებულებებიც გააქრეს, სანამ „ოცნება“ მოვიდოდა, იმ ერთი წლის განმავლობაში მტკიცებულებებს თანდათან აქრობდნენ, თუმცა, კიდევ არის დარჩენილი მტკიცებულებები, რომლითაც ბრალის დამტკიცება შეიძლება.

პარტიულმა ხელმძღვანელობამაც არ მოგვაქცია ყურადღება, როგორ ვიყავით, ისიც არ უკითხავთ. შემდგომ წლებში ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთანაც გვქონდა შეხვედრა და საყვედური ვუთხარი, ერთხელ ჩვენი ამბავი მაინც გეკითხათ-მეთქი. თავს იმით იმართლებდნენ, რომ მოვსულიყავით, უფრო დიდ წნეხში იქნებოდითო.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

ეროვნული ვალუტა გაუფასურების ახალ ისტორიულ მაქსიმუმზე დაფიქსირდა – ოფიციალური გაცვლითი კურსი 2,78-იან ზღვარს გადასცდა. წინა მაქსიმუმი 2016 ლის დეკემბერში დაფიქსირდა, როდესაც 1 დოლარის ღირებულება 2,7846 ლარს შეადგენდა, დღეს კი ოფიციალური კურსი 2.7876-ია. ამასთან, Bloomberg-ის სავაჭრო პლატფორმაზე 11:20 საათისთვის ერთი დოლარი 2,8025 ლარად ივაჭრებოდა.

იმ პირობებში, როდესაც მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რომლებიც დოლარის შემოსვლას განაპირობებს, დადებითია – გვაქვს წინა პერიოდზე უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდა, გაიზარდა ექსპორტის მოცულობა, მომატებულია ტურისტების რაოდენობა და ტურიზმით შემოსული თანხაც, მაშინ რატომ უფასურდება ლარი?

ეკონომიკის ექსპერტი **აკაკი ჩარგეიშვილი** „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ ეს ჩვენი ეკონომიკისთვის საკმარისი არ არის.

– თუ მადნეული და ჭიათურმანგანუმი ექსპორტზე გააქტიურდება, თუ გაიზრდება ქართულ ღვინოზე მოთხოვნა, ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ის დოლარი, როგორც ვალუტა საქართველოში შემობრუნდება და ქვეყანაში მიმოქცევაში საკმარისი დოლარი ექნება. მნიშვნელოვანია, თითოეული ადამიანის ეკონომიკური აქტივობა როგორია. ის, რომ კონკრეტულმა კომპანიამ ექსპორტის მაჩვენებელი გაზარდა, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი კომპანიების სიმრავლე გვაქვს, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

მისი განმარტებით, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც ლარის კურსის ასეთ გაუფასურებას იწვევს, ეკონომიკის აქტიურობის შენელებაა. ჩარგეიშვილი ლარის კურსზე უარყოფითად მოქმედ ფაქტორებს ასახელებს, მათ შორისაა: ტექნიკის მაღაზიებში რეალიზაციის შემცირება-მიკროსაფინანსო თუ სხვა საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც მოსახლეობის ამ აქტიურობაზე იყვნენ მიბმული, გაჩერებულია. შედეგად გვაქვს ის, რომ მიკროსაფინანსოები კოტრდება და წვრილი ფულის მოძრაობის საშუალება ქვეყანაში პრაქტიკულად დაკეტილია.

გარდა ამისა, საყოველთაო ჯანდაცვის კომპონენტი ქვეყანაში არსებობს იმ ფორმით, როდესაც სახელმწიფო ყოველწლიურად ბიუჯეტში მთელი საბიუჯეტო შემოსავლების 1/3-ს ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის მიზნებისათვის დაფინანსოს კონკრეტული საქართველოს მოქალაქე ყოველგვარი დამატებითი პირობების და შეხედულებების გარეშე.

– ეს ადამიანები მკურნალობის მიზნით მიმართავენ დაწესებულებას, ამ შემთხვევაში, სამედიცინოს, რომელიც მათ მკურნალობს. ფული კი ბიუჯეტიდან მოაქვს. ეს მთელი ნაკადი საბიუჯეტო სახსრებისა გადაედინება კერძო სექტორში, ამ შემთხვევაში კლინიკებში. ჩვენ ვიცით, რომ ეს კლინიკები არიან გარკვეულ ბანკებთან აფილირებული კომპანიები. სურათი ასეთია – ლარი გადაედინება საჯარო სექტორიდან კერძო სექტორში, აქედან კი სინთეზიდრება დოლარში, გადის ქვეყნის გარეთ. ეს ყველაფერი ფილტრს უნდა გადიოდეს. საავადმყოფოს ტარიფებს ვინმე უკონტროლებს? საჭიროებების კონტროლი არსებობს? სახარჯი მასალების შესყიდვაც დოლარში ხდება, ანუ ბიუჯეტიდან ლარს იღებენ, აკონვენტირებენ და დოლარი ქვეყნიდან გაქვთ, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

„კომერსანტის“ კითხვაზე, ლარის გაუფასურების ერთ-ერთი მიზეზი ხომ არ შეიძლება იყოს უცხოეთიდან გზავნილები, რომელიც აპრილში, წინა თვესთან შედარებით, 1,265 მილიონი დოლარით შემცირდა, ჩარგეიშვილი განმარტავს, რომ ამ შემთხვევაშიც ლარი არაფერ შუაში არ არის და მისი განმსაზღვრელია ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა ან პირიქით, უმოქმედობა.

შესაბამისად, ის, რომ ქვეყანაში დიდი ჰიდროელექტროსადგურები აღარ შენდება და ამ კუთხით ინვესტიცია არ შემოდის, ის, რომ თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობები პრაქტიკულად შეჩერდა, ის, რომ სასამართლოში გაჩერებული საქმეებია, ყველაფერი ეს ერთად აღებული ლარის გაუფასურების მიზეზია.

ჩარგეიშვილის განცხადებით, რეალურად, რომ არა საპენსიო ფონდის დაგროვებითი სქემა, ლარი 2.8 ნიშნულზე მეტად იქნებოდა გაუფასურებული. „საპენსიო სისტემაში“ რამდენი ლარია მობილიზებული? სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიმოქცევაში და იმაზე უფრო მეტად ჭარბი ლარი იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. ეს თანხა დღეს გაჩერებულია. 4%-მა ფაქტორმა კიდევ გვიშველა, – აცხადებს ჩარგეიშვილი.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო საპენსიო სააგენტოს საქმიანობის 150 დღის განმავლობაში საპენსიო ფონდში 232 მილიონი ლარის საპენსიო დანაზოგის აკუმულირება მოხდა. სააგენტოს ინფორმაციით, ამ პერიოდის განმავლობაში სქემაში 51,870 კერძო კომპანია ჩაერთო, სისტემაში კი, 793,029 ინდივიდუალური მონაწილის ანგარიში გაიხსნა.

საპენსიო სააგენტოს საქმიანობის 150 დღის განმავლობაში ფონდში აკუმულირებულ 232 მილიონ ლარს 1,76 მილიონი ლარის სარგებელი უკვე დაერიცხა.

კომერსანტი

ნორვეგიაში დაკავებული ვანო ზარდიაშვილის ცოლისძმა, გრიგოლ აბრალავა, გამოუშვეს

უმრავლესობის წევრის ვანო ზარდიაშვილის ცოლის ძმა, გრიგოლ აბრალავა, რომელიც სამართალდამცავებმა ნორვეგიაში ქურდობის ბრალდებით დაკავეს, გაათავისუფლეს.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ზარდიაშვილის სიმამრმა ანზორ აბრალავამ განუცხადა.

როგორც აბრალავა აღნიშნავს, გადამოწმების ხანგრძლივი პროცედურის შემდეგ, მისი შვილი და მასთან ერთად დაკავებული კიდევ ორი პირი, გაათავისუფლეს.

გრიგოლ აბრალავა საქართველოში 24 მაისს ჩამოვიდა.

– რამდენიმე დღეა, რაც ჩამოვიდა. ეს იყო გადამოწმების ხანგრძლივი პროცედურა, იქ, სამწუხაროდ, დაკავების შემთხვევაში, ვადები არ აქვთ და ძალიან დიდხანს გრძელდება გადამოწმების პროცედურა. თავისებური ბიუროკრატია აქვთ. რამე რომ ყოფილიყო, ასე როგორ დამთავრდებოდა? – განაცხადა აბრალავამ.

ცნობისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თებერვალში ინფორმაცია გაავრცელა, რომლის თანახმადაც, ნორვეგიაში საქართველოს სამი მოქალაქე დააკავეს. დაკავებულებს შორის გრიგოლ აბრალავაც იყო.

გრიგოლ აბრალავა ბოლო წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ თანამშრომელი იყო. აუდიტის სამსახურში აცხადებენ, რომ აბრალავამ იანვრის ბოლოს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადება დაწერა, „იქამდე კი შვებულება აიღო“.

გრიგოლ აბრალავასთან ერთად ნორვეგიაში ასევე დააკავეს თბილისის მერიის დასუფთავების სამსახურის ისნის განყოფილების უფროსი გიორგი კიკნაძე, რომელმაც ნორვეგიაში წასვლამდე, ასევე, შვებულება დაწერა და ამ დრომდე მერიის მოქმედ თანამშრომლად ითვლება. კიდევ ერთი დაკავებული პირი გრიშა მარღანიაა.

„იაგო ნებიერიძე გორში ზაქრო ბერძნიშვილის საფლავს მიუთითებს“

ის გახარიასთან შეხვედრას ითხოვს

გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებული იაგო ნებიერიძე შინაგან საქმეთა მინისტრთან გიორგი გახარიასთან შეხვედრას ითხოვს.

როგორც მისმა ადვოკატმა მარიამ პაპოშვილმა „პრაიმ-ტაიმს“ განუცხადა, ნებიერიძემ 14 წლის წინ გაუჩინარებული ბავშვის საფლავის ადგილმდებარეობა იცის და ამაზე უნდა მინისტრს დაელაპარაკოს.

– ერთ-ერთ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ გაუჩინარებული მოზარდის ადგილსამყოფელი იცის და ამისთვის გიორგი გახარიასთან ან მის მოადგილესთან შეხვედრას ითხოვს. თქვა, დედას საფლავი უნდა დავუბრუნოო, – განაცხადა პაპოშვილმა.

ადვოკატი არ აკონკრეტებს, სამაგიეროდ რას მოითხოვს ნებიერიძე.

შეხვდება თუ არა მინისტრი მსჯავრდებულს, ამის შესახებ სამინისტროში კომენტარს არ აკეთებენ.

იაგო ნებიერიძემ ერთხელ უკვე „დაასახელა“ 14 წლის წინ გაუჩინარებული მოზარდის საფლავის ადგილსამყოფელი. სამართალდამცველები რამდენიმე დღის განმავლობაში გორის კულტურისა და დასვენების პარკში ეძებდნენ. თუმცა, როგორც შემდგომ გაირკვა, მსჯავრდებულმა გამოძიებას არასწორი ინფორმაცია მიაწოდა.

იაგო ნებიერიძის სახელი ჯერ კიდევ 2004 წელს 11 წლის ზაქრო ბერძნიშვილის გატაცების საქმეშიც ფიგურირებს, თუმცა მაშინ საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის გამო ნებიერიძე მხოლოდ ანგარების გზით ფულის გამოძალვის ბრალდებით გაასამართლეს.

ამ საქმეზე იაგო ნებიერიძემ სასჯელი 2008 წელს მოიხადა, თუმცა მალევე სერიული ყაჩაღობისა და ძარცვის ბრალდებით კვლავ საპატიმროში აღმოჩნდა. შეკრებითობის პრინციპით სასამართლომ მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა 2013 წელს ამნისტიის აქტით სასჯელის მეოთხედი მოკლდა და 10-წლიანი პატიმრობა განესაზღვრა.

რამდენიმე დღის წინ იაგო ნებიერიძეს გორში 9 წლის ნანიკო ბერიაშვილის მკვლელობის საქმეზე უვადო თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

ცოლის ცემისთვის კ.ღ.-ს 2 წელი მიუსაჯეს

თელავის რაიონულმა სასამართლომ მეუღლის მიმართ განხორციელებული მუქარისა და ფიზიკური ძალადობისთვის ბრალდებული მამაკაცი დამნაშავედ ცნო.

ბრალდებულ მამაკაცს სასამართლომ 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ განხორციელებული მუქარისა და ფიზიკური ძალადობისთვის ბრალდებული კ.ღ დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2018 წლის 26 დეკემბერს კ.ღ. ახმეტის რაიონში, მისსავე საცხოვრებელ სახლში მეუღლეს ა.ხ-ს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, თან უყვიროდა, რომ არ აცოცხლებდა.

სასამართლო პროცესზე ასევე დადასტურდა, რომ კ.ღ-მ 2018 წლის 29 დეკემბერს არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, მეუღლეზე ფიზიკურად იძალადა.

სამართალდამცველებმა კ.ღ. 2018 წლის 29 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 1261-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, ჩადენილი არასრულწლოვანის თანდასწრებით) და 111 -151-ე მუხლის პირველი ნაწილით (ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა წევრის მიმართ სიცოცხლის მოსპობისა მუქარა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ კ.ღ დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და სასჯელის სახედ და ზომად 2 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

რუსთავის ავტობაზრობაზე 4 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავის ავტობაზრობაზე.

ერთმანეთს ბმვ-ს, მიცუბიშის, ტოიოტასა და ჰიუნდაის მარკის ავტომობილები შეეჯახნენ.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.

ესპანეთის ზღვაში რუსთავის საკრებულოს წევრ დავით იშხნელის 5 წლის გოგონა დაიხრჩო

28 მაისს ესპანეთში ზღვაში რუსთავის საკრებულოს წევრის, დავით იშხნელის, 5 წლის გოგონა დაიხრჩო.

დეპუტატის ოჯახი ესპანეთის სანაპიროზე, კერძოდ, ტარაგონაში სამ შვილთან ერთად ისვენებდა.

5 წლის ბავშვი სანაპიროზე, საცურაო ლეიბზე იწვა. თავიდან ზღვა მშვიდი იყო, მაგრამ მოულოდნელად ამოვარდა ქარი, რომელმაც გოგონა 300 მეტრზე გაიტაცა.

მამამ მისი გადარჩენა სცადა, მაგრამ, როგორც თვითმხილველები ამბობენ, მან ცურვა არ იცოდა და ვერაფერი შეძლო. გოგონას გადარჩენა ქალმაც სცადა, მაგრამ ის უკვე ძალიან შორს იყო და ქალმა ბავშვამდე მიღწევა ვერ მოახერხა.

ესპანური მედია წერს, რომ ახლომახლო მაშველები არ იყვნენ, რამაც გამოიწვია კიდეც გოგონას დაღუპვა.

მაშველებმა გოგონას გამოყვანა მაშინ მოახერხეს, როდესაც უკვე გვიანი იყო. ექიმებმა ბავშვის გონზე მოყვანა სცადეს, ინტენსიური ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარეს, მაგრამ 5 წლის გოგონას გადარჩენა ვერ შეძლეს.

ლავას ოღლის აჯანყება ოდესის ციხეში

რუსული მედიის ცნობით, ოდესის კოლონიაში პატიმრების ამბოხი ორ კანონიერ ქურდს – ბათუმელ მინდია გორგაძეს, იგივე ლავას ოღლისა და „ომარ უფინსკის“ შორის კამათს მოჰყვა.

პატიმრები ზედამხედველების ბრძანებებს აღარ ასრულებდნენ, შემდეგ კი აჯანყებულებმა სამედიცინო პერსონალის სამი წარმომადგენელი აიყვანეს მძევლად და ეზოში ხანძარი გააჩინეს.

დაპირისპირების მთავარი მიზეზი ციხეში შესულ ნარკოტიკებზე კონტროლის გადანაწილება გახდა. მედიაში გავრცელებული ვერსიის თანახმად, ლავას ოღლი მეტადონის შეტანას გეგმავდა, თუმცა „ომარ უფინსკი“ მის წინააღმდეგ წავიდა.

შეგახსენებთ, რომ ოდესაში მდებარე გამოსასწორებელ კოლონიაში მსჯავრდებულებმა ბუნტი მოაწყვეს. მიმღებში ხანძარი გაჩნდა. სწორედ ამის შემდეგ მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილი დაწესებულებიდან გაიქცა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, იქ არსებული სიტუაცია ბოლო რამდენიმე კვირის წინ დაიძაბა. ასევე, ცნობილია, რომ კოლონიაში რამდენიმე დღის წინ მათი თანამშრომელი დაჭრეს. რამდენიმე დღის შემდეგ კი გაქცევა სცადეს. ამის საპასუხოდ დაკავებულებს პაემნის უფლება შეუწყვიტეს. აგრეთვე, მათ შეტანილი საკვების მიღებაც აეკრძალათ.

„გაპროტესტება დაიწყეს. მათ ასევე საკვებიც არ მოსწონდათ. ამ დროს ოდესის კრიმინალური სამსახურის ხელმძღვანელი ევგენი ლენინოვი მსჯავრდებულებს დაჰპირდა, რომ მათ „ჭკუას ასწავლიდა“ და მასობრივად სცემა მათ – იუწყება რუსული მედია.

პალიტრავიდეო

ესპანეთში 3 ქართველი დააკავეს

ესპანეთის ქალაქ მალაგაში პოლიციამ ქურდობის ბრალდებით 22 ადამიანი დააკავა. დაკავებულებიდან 3 ქართველია.

ესპანური მედიის ცნობით, ეჭვმიტანილებზე თვალთვალი რამდენიმე თვე მიმდინარეობდა.

პოლიციამ გაშიფრა სათვალთვალო კამერები და დაადგინა იმ პირთა ვინაობა რომლებიც სისტემატიურად ჩადიოდნენ დანაშაულს. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს ერთნაირი ხელწერა ჰქონდათ, ისინი გასაქურდად ძირითადად ისეთ ობიექტებს არჩევდნენ, რომლის შენობასაც შუშის კარი ან ღია აივანი ჰქონდა.

დამნაშავეები ღამის საათებში მოქმედებდნენ და მათი სამიზნე ობიექტი კერძო სახლები, ტანსაცმლის მაღაზიები, აფთიაქები, რესტორნები და კაფეები იყო.

დაკავებულების ბინების ჩხრეკისას პოლიციამ მოპარული ნივთები ამოიღო.

სიღნაღის 2 საბავშვო ბაღში შეკიდული ჭერი ჩამოინგრა

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფლების – ქვემო მაჩხაანის და ზემო ბოდბეს საბავშვო ბაღებში ე.წ. შეკიდული ჭერი ჩამოინგრა. ჩამონგრევის შედეგად არავინ დაშავებულა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაჩხაანის საბავშვო ბაღში სასწავლო პროცესი შეჩერებულია. შემთხვევა 28 მაისს გვიან ღამით მოხდა, რის შესახებაც თანამშრომლებმა მეორე დილით შეიტყვეს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის მადონა ბატიაშვილის თქმით, შენობას რეაბილიტაცია 2016 წელს ჩაუტარდა, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 3.000 ლარი დაიხარჯა.

– შემთხვევა გვიან ღამით მოხდა. კომპანიას უკვე ვაცნობეთ, კომპანია, რომელმაც რეაბილიტაცია ჩაატარა, მზად არის, დაზიანებული ადგილები შეაკეთოს, – განაცხადა მადონა ბატიაშვილმა.

რაც შეეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოდბეს, ვიცე-მერის განცხადებით, ზემო ბოდბეს საბავშვო ბაღში ჭერის ნაწილი ორი დღის წინ ჩამოვარდა. მადონა ბატიაშვილი მომხდარს, სავარაუდოდ, სამუშაოების უხარისხოდ ჩატარებას უკავშირებს.

– ორივე ბაღთან დაკავშირებით ინფორმაცია აქვს კომპანიას. ზარალი მაქსიმუმ 3 ათას ლარამდეა. პასუხისმგებელი კომპანია ვალდებულებას საკუთარ თავზე იღებს და სამუშაოებს მალე დაიწყეს. როგორც ჩანს, სამუშაოები შესაბამისი ხარისხით არ იყო ჩატარებული, – განმარტა ბატიაშვილმა.

ჩრდილოეთ მაკედონია ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს დაიწყებს

ევროკომისიამ ოფიციალური რეკომენდაცია მისცა ჩრდილოეთ მაკედონიას ევროკავშირში გასაწევრიანებლად მოლაპარაკებების დასაწყებად.

როგორც ევროკომისარმა საგარეო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში იოჰანეს ჰანმა განაცხადა, ეს რეკომენდაცია გაიცა ბრიუსელის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად.

ევროკავშირის წევრი თითოეული სახელმწიფოს მთავრობამაც უნდა განაცხადოს თანხმობა მოლაპარაკებების დაწყებაზე.

ჩრდილოეთ მაკედონია დიდი ხანია ფაქტობრივად მზად იყო ევროკავშირში გასაწევრიანებლად და ამაში ხელს უშლიდა ქვეყნის სახელი. საბერძნეთი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ ათწლეულების განმავლობაში თანმიმდევრულად აპროტესტებდა სახელს „მაკედონია“ და გაწევრიანების დაბლოკვით იმუქრებოდა. შარშან წარმატებით დამთავრდა მოლაპარაკებები ორ სახელმწიფოს შორის. ორივე სახელმწიფოში არსებული სერიოზული შიდა წინააღმდეგობის მიუხედავად, შეთანხმება რატიფიცირებულ იქნა პარლამენტების მიერ და იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიას „ჩრდილოეთ მაკედონია“ ეწოდა.

ამან ქვეყანას გზა გაუხსნა ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

ესპანეთმა რუსეთი მტრად გამოაცხადა

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორელმა თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიო შეიცვალა, რუსეთი, ევროპის ეს ძირძველი მტერი, კვლავ გააქტიურდა.

ბორელმა აშშ-ის მიმართაც საყვედურები გამოთქვა. მან ამერიკა იზოლაციონიზმში დაადანაშაულა.

– სამწუხაროდ, ჩვენმა ძირძველმა მოკავშირემ აშშ-მ ზურგი შეგვაქცია, – ამბობს ბორელი.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბორელის გამოთქმების გამო ოფიციალური პროტესტი განაცხადა.

ესპანეთის ელჩს მოსკოვში შესაბამისი ნოტა გადაეცა.

მაკრონს ნორმანდიულ ფორმატში შეხვედრა სურს

საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუილ მაკრონმა განაცხადა, რომ სურს ნორმანდიული ფორმატის წევრი ქვეყნების (რუსეთი, უკრაინა, გერმანია და საფრანგეთი) წარმომადგენელთა შეხვედრა მოაწყოს.

მიზანი დონბასის პრობლემის დარეგულირებაა.

– ველით უკრაინის ახალ პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის პარიზში. ამის შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა, – ამბობს მაკრონი.

რუსეთის პოზიცია თავშეკავებულია. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სანამ უკრაინელები ცეცხლს არ შეწყვეტენ, შეხვედრას აზრი არა აქვს.

– ჯერ მშვიდობა უნდა აღდგეს, შემდეგ ჯარისკაცები თავიანთ ძველ პოზიციებს დაუბრუნდნენ. ლაპარაკი მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი, – ამბობს ლავროვი.

ბორის ჯონსონი სასამართლოს წინაშე წარდგება

ბრიტანელი კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი, ლონდონის ყოფილი მერი, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ბორის ჯონსონი სასამართლოს წინაშე წარდგება.

ბორის ჯონსონის წინააღმდეგ შეტანილია კერძო სარჩელი. საქმე უმთავრესად ეხება ბორის ჯონსონის მიერ 2016 წელს, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის შესახებ რეფერენდუმამდე რამდენჯერმე გაკეთებულ მცდარ განცხადებას, რომ „ბრიტანეთი ყოველკვირეულად ბრიუსელში 350 მილიონ გირვანქა სტერლინგს გზავნის“.

ბორის ჯონსონი დღეს კონსერვატიული პარტიის ლიდერობის ყველაზე მაღალრეიტინგული კანდიდატია.

კოსოვოში დაკავებული რუსი დიპლომატი გაათავისუფლეს

კოსოვოში მდგომარეობა დაიძაბა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სერბებით დასახლებულ რეგიონებში შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოწოდება გაისმა. კოსოვოს ხელისუფლება იძულებული გახდა, იქ სპეცრაზმი შეეყვანა. დაკავებულია 30-მდე სერბი პროვოკატორი.

მათთან ერთად გაეროს რუსული მისიის თანამშრომელი კრასნოშჩოკოვიც დააპატიმრეს. ამ დროს მან პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია. შედეგად რუსი გვარიანად გაილახა. ის თავის ტრავმით საავადმყოფოში წაიყვანეს.

რუსეთის საელჩომ სერბეთში რუსი დიპლომატის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა, სერბეთის პრეზიდენტმა ვუჩიჩმა კი არმიის სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოაცხადა.

კოსოვოს ხელისუფლებამ კრასნოშჩოკოვი გაათავისუფლა, სერბული არმია კი ყაზარმებში დარჩა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ბავშვმა მამის პისტოლეტით თამაშის დროს და დაჭრა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატში ბიჭმა პისტოლეტით თამაშის დროს გაისროლა და საკუთარი და დაჭრა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ მოხდა. წინასწარი მონაცემებით, 47 წლის მამაკაცი თავის „გლოკის“ პისტოლეტს წმენდდა, ამ დროს სხვა რაღაცამ მიიპყრო მისი ყურადღება და იარაღი საძინებელში დატოვა. უზედამხედველოდ დარჩენილმა ბავშვებმა იარაღით თამაში გადაწყვიტეს: ცხრა წლის ბავშვმა მამის პისტოლეტი აიღო და შემთხვევით დას ესროლა.

გოგონა დაუყოვნებლივ ქალაქ კერნსის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჭრილობა სიცოცხლისთვის საშიში არ გამოდგა. ბავშვის მდგომარეობა სტაბილურია.

იარაღის მფლობელი სამართალდამცავებმა დააკავეს. ის სასამართლოს წინაშე 13 ივნისს წარდგება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

შევისყიდით წიგნებს!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალომ და დინამომ მოიგეს, ქუთაისმა ქულა დილას გაატანა

საბურთალო-ვიტ ჯორჯია 3:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 გონსალვესი (28), 2:0 შინდაგორიძე (64), 3:0 დიასამიძე (70)

საბურთალო: მიგინეიშვილი, მალი, მარგველაშვილი, ნადარაია, ცნობილაძე, გონსალვესი (შინდაგორიძე 46), დიასამიძე, გორგიაშვილი, კოხრეიძე, გი (ალთუნაშვილი 8), როლოვიჩი (გულიაშვილი 70)

ვიტ ჯორჯია: ნიკ.ქავთარაძე, გაფრინდაშვილი, ლაცბიძე, ჩაკვეტაძე, საჯაია, სეხნიაშვილი, მოსიაშვილი, კურდღელაშვილი (ზარიძე 71), ვასაძე, მუსელიანი, მუჯირი

საბურთალო წარმატებულ სერიას აგრძელებს – დედაქალაქელებმა ამჯერად ვიტ ჯორჯიას უმასპინძლეს და 3 უპასუხო ბურთი გაუტანეს. ამ გამარჯვების შემდეგ გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა გათამაშების ცხრილში 34 ქულა დააგროვა და კვლავინდებურად პირველ ადგილზე იმყოფება.

მატჩი საბურთალოელთა უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ ლოგიკურადაც დასრულდა. ერთია, მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებმა დიდი ანგარიშით იმარჯვეს, ვერ ვიტყვით, რომ სახიფათო მომენტები მრავლად შეიქმნა.

ჩემპიონები 29-ე წუთზე ვაგნერ გონსალვესის ოსტატური საჯარიმო დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ. მეორე ტაიმის საწყისი წუთები სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს, თუმცა რეალურ სახიფათო მომენტამდე საქმე არ მისულა. 64-ე წუთზე საბურთალოელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს – გიორგი კოხრეიძემ ლაშა შინდაგორიძე მოძებნა, რომელმაც მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი სეზონში მორიგი გოლი გაიტანა.

მე-3 გოლიც მალე გავიდა – შეტევა იმავ კოხრეიძემ წამოიწყო, შინდაგორიძემ კარში ძლიერად დაარტყა, თუმცა მეკარემ ვერ დააფიქსირა ხელებში. დასწრებაზე გეგა დიასამიძემ იყოჩაღა, რომელმაც ტექნიკურად გადაგზავნა ბურთი კარში.

სტუმრებმა ერთადერთი ხიფათი მატჩის მიწურულს შექმნეს, როდესაც დავით მუჯირი კარში ტექნიკურად ურტყამდა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.

რუსთავი-დინამო (თბ) 0:1

ხუსთავი. ტექნიკური ცენტრი

0:1 კუტალია (32)

რუსთავი: კულუა, ც.კაპანაძე, ტაკულოვი (იმნაძე 67), ფონიავა, სილაგაძე, გუჯაბიძე, ჩოგაძე, გისტაროვი, ბუგულოვი, ციცქიშვილი, ყიფიანი

დინამო: პერალესი, რუხაია, მონხილი, მეჯუში, იაშვილი, შულაია (კობოური 77), პაპავა, ივანისენია, შენგელია, ნინუა (ქარდავა 51) , კუტალია (ზარია 87)

შეხვედრამ ტრიბუნაზე მისული გულშემატკივრების იმედი გაამართლა და ორივე ტაიმი თვალსასაეროდ, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა.

დებიუტში მასპინძლებს ჰქონდათ სწრაფი შეტევა, რომელიც საბოლოოდ ხოსე პერალესმა განმუხტა, შემდეგ კი სტუმრებს მიჯრით ორჯერ არ გაუმართლათ. აკაკი შულაიას და ლევან კუტალიას ბოლო მომენტში მცველებმა დაასწრეს.

32-ე წუთზე ლევან შენგელიას პასით დინამოელთა ბომბარდირმა ლევან კუტალიამ ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

პირველი ტაიმის ბოლოს დინამო ორჯერ გადაურჩა გოლს: პირველ შემთხვევაში ძელმა იხსნა თბილისელთა კარი, მეორედ კი ესპანელმა გოლკიპერმა.

მე-2 ნახევარში პირველი სახიფათო მომენტი ისევ მასპინძლებმა მიიწერეს. შეტევის მარჯვენა ფრთიდან სახიფათო ჩაწოდებას რუსთაველთა შემტევი ვერ შესწვდა. ტაიმის შუაში დმიტრო ივანისენიას მართებდა გოლის გატანა, მაგრამ ხელსაყრელი სიტუაციიდან ოდნავ არაზუსტად გაასარჯა, ცოტა ხანში მანვე კიდევ ერთი მომენტი გაუშვა ხელიდან.

საპასუხოდ რუსთაველთა 2 სახიფათო შეტევიდან კი, ერთი აბდელ მეჯუბამ მოიგერია, მეორე – ჯერ ხოსე პერალესმა, შემდეგ კი დინამოელთა კარის ძელმა.

ტორპედო-დილა 3:3

წყალტუბო. 26 მაისი

0:1 გოშთელიანი (3), 1:1 ზივზივაძე (8პ), 2:1 დოლიძე (12), 3:1 ზივზივაძე (45), 3:2 კოუგბენია (72), 3:3 ნონიკაშვილი (74)

ტორპედო: კვასხვაძე, ხურცილავა, აზაკცი, მ.კობახიძე, ცინცაძე, გიგაური, ნოდ.ქავთარაძე, ა.ჩაჩუა (წიქარიძე 72), დოლიძე (ლუკა 67), ქიმაძე, ზივზივაძე

დილა: გუგეშაშვილი, მირცხულავა, ჩადუნელი, კერელეიშვილი (ნონიკაშვილი 46), ე.სანტოსი (პაიმი 60), გრიგალაშვილი, ნონდი, კოუგბენია, ფორტესი, კუცია, გოშთელიანი (სპანდერაშვილი 70)

მოირიგი ქულები გაანაავა ქუთაისის ტორპედომ, რომელმაც გორის დილას წყალტუბოში უმასპინძლა. მატჩი ფრედ 3:3 დასრულდა – საკმაოდ საინტერესო ჯახში გულშემატკივრებმა მშვენიერი თამაში იხილეს.

ანგარიში მე-3 წუთზე სტუმრებმა გახსნეს – ქუთაისელთა მცველმა ბურთი როინ კვასხვაძეს დაუბრუნა, რომელსაც გურამ გოშთელიანმა დაუფარა და კარში შევარდა. კურიზოული გოლი იყო, მაგრამ საინტერესო მატჩის დასაწყისი.

მე-8 წუთზე უკვე მასპინძლებმა გაიტანეს – ნოდარ ქავთარაძის წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი ბუდუ ზივზივაძემ ზუსტად შეასრულა.

მალევე ბუდუმ თავი საგოლე გადაცემით გამოიჩინა. ქუთაისელთა შემტევი რამდენიმე ფეხბურთელს ლამაზი დრიბლინგით გასცდა და საჯარიმოში მარტოდ მყოფი დოლიძე მოძებნა, ხოლო გამოცდილმა ფეხბურთელმა თანაგუნდელს გარჯა დაუფასა და გუგეშაშვილის კარი აიღო.

პირველი ტაიმისთვის დამატებული დრო მიმდინარეობდა, როცა ზივზივაძემ დუბლი გაიფორმა – ქუთაისელთა გოლეადორი საჯარიმოში შევიდა, ერთი მცველი მოატყუა და ძლიერი დარტყმით დილას კარის ბადე შეარხია.

72-ე წუთზე სტუმრებმა ანგარიშში სხვაობა შეამცირეს. მარჯვენა ფლანგიდან ალვინ ფორტესის ჩაწოდების შემდეგ დიდიე კოუგბენიას გოლის გატანა აღარ გასჭირვებია, ხოლო ერთ წუთში ანგარიში 3:3 გახდა – შეცვლაზე შესულმა ნონიკაშვილმა ბურთი საჯარიმოს მისადგომებთან მიიღო და მშვენიერი დარტყმით გუნდს ქულა მოუტანა.

1.საბურთალო	16	11	1	4	34-22	34
2.დინამო (ბთ)	15	10	1	4	24-15	31
3.ტორპედო	16	8	3	5	28-23	27
4.დინამო (თბ)	16	8	2	6	28-19	26
5.ჩიხურა	15	5	7	3	21-13	22
6.სიონი	15	6	3	6	21-33	21
7.დილა	16	5	4	7	16-17	19
8.ლოკომოტივი	15	6	0	9	20-22	18
9.რუსთავი	16	2	5	9	17-30	11
10.ვიტ ჯორჯია	16	3	2	11	7-22	11

ჩემპიონის ბედი ქუთაისში გადაწყდება

დელტა-ქუთაისი 86:75

(23:14, 27:21, 17:17, 19:23)

სუპერლიგის ფინალური სერია მე-5 გადამწყვეტ მატჩამდე მივიდა. საჩემპიონი, სუპერფინალურ მატჩს ბოლო წლების მსგავსად ისევ ქუთაისი უმასპინძლებს. მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის სპორტის სასახლეში გამართული მატჩის გამარჯვებული საქართველოს ჩემპიონი გახდება. გადამწყვეტ მატჩში სუპერლიგის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი დელტას დაუპირისპირდება.

ოლიმპიურ სასახლეში გამართულ მატჩში ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა დელტელებმა იმერულ კლუბს შანსი არ დაუტოვეს და 86:75 დაამარცხეს. კოტე ტუღუშის გაწვრთნილი ქუთაისელები მეტოქეს კუდში მისდევნენ და შანსს ინარჩუნებდნენ, თუმცა ბოლო წუთებზე მასპინძელთა შედეგიანი თამაშის წყალობით მატჩის ბედი გაირკვა. დელტას ლიდერობამ 10 ქულას გადააჭარბა, რისი გაბათილებაც წუთნახევარში არარეალური იყო და ქუთაისელთა შემადგენლობაშიც მოედანზე ახალგაზრდა, სათადარიგო მოთამაშეები გამოჩნდნენ.

დელტამ ძალიან კარგად, შეკრულად და გუნდურად ითამაშა. მასპინძლებმა დასაწყისშივე რომ მოიპოვეს უპირატესობა, ქუთაისელები წინ არ გაუშვიათ. ყველა კალათბურთელმა მაქსიმუმი გაიღო და დელტამაც დამსახურებულად გაიმარჯვა.

თბილისურ გუნდში 24 ქულით, 12 მოხსნითა და 5 პასით საუკეთესო იყო ბექა ბექაური. 14 ქულა მიითვალა ოთარ ფხაკაძემ, საბა ლობჟანიძის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა. ქუთაისში 22 ქულით აკაკი დვალიშვილი გამოირჩა, ხოლო ჯობათან ლიმ 13 ქულა, 9 პასი და 6 მოხსნა დააგროვა.

მატჩის შესვენებაზე გაიმართა სუპერლიგის საუკეთესო ახალგაზრდად აღიარებული გიორგი კორსანტიასა და იუბილარი ვეტერანი კალათბურთელის, ვალერი ლომაძის დაჯილდოვება. კორსანტიას გადაეცა ტრაგიკულად დაღუპული კალათბურთელის, ზვიად მიქაძის სახელობის თასი, რომელიც მას კალათბურთელის შვილებმა – სალომემ და იოანამ გადასცეს. კორსანტიას ერგო ასევე ტრადიციული, გელა დარსაძის თასი, რომელიც სეზონის საუკეთესო ახალგაზრდას ცნობილი კალათბურთელის მეუღლემ, ქალბატონმა ნინომ გადასცა.

ვეტერან კალათბურთელთა დახმარების ფონდის ხელმძღვანელი, სპორტის რაინდის კავალერი ვალერი ლომაძე, რომელიც 80 წლის გახდა, ეროვნული ნაკრების მაისურითა და სპეციალური სიგელით საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, პაატა გურასპაულმა დააჯილდოვა.

თედო აბჟანდაძე: „ვეცდებით, შარშანდელი შედეგი გავაუმჯობესოთ“

უმცროსი ბორჯღალოსნები არგენტინაში იმყოფებიან და 2019 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

მსოფლიო რაგბის რანგით მეორე ტურნირში ჩვენი გუნდი ზედიზედ მე-4 წელიწადია (2016 წლიდან) თამაშობს. ეს უპრეცედენტო მოვლენაა, რადგან არც მანამდე და არც მას შემდეგ, „ალაფიდან“ დაწინაურებულ გუნდს 12 მოწინავეს შორის ადგილი არ შეუნარჩუნებია.

უმცროსი ბორჯღალოსნების კაპიტნისთვის, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, თედო აბჟანდაძისთვის, რომელსაც ახლა უკვე ზურგს 7 სანაკრებო კეპი უმაგრებს, წელს მესამე 20-წლამდელთა ჩემპიონატი იქნება და მსოფლიო რაგბმა მას სპეციალური სტატია მიუძღვნა:

– თავისი მესამე 20-წლამდელთა ჩემპიონატის წინ, საქართველოს ნაკრების მგეზავი თედო აბჟანდაძე ამბობს, რომ ამ ტურნირმა მის განვითარებაში უდიდესი როლი ითამაშა და ოცნების ახდენაში დაეხმარა – საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

ტრადიციულად, დიდი და ძლიერი ფორვარდებით დაკომპლექტებული საქართველო, რომელიც მეოთხედ საუკუნეზე მეტია საერთაშორისო რაგბში გამოჩნდა, არასდროს ერიდებოდა ძალისმიერ თამაშს.

ამ კუთხით ბევრი არაფერი შეცვლილა და საქართველო კვლავაც წარმოადგენს დიდ საფრთხეს მეტოქეებისთვის, თუმცა ბოლო დროს მის შემადგენლობაში არაერთი ახალგაზრდა ხაზის მოთამაშე გამოჩნდა, რომლებსაც მომავალში მოწინააღმდეგეებისთვის ზიანის მიყენება რამდენიმე მეთოდით შეუძლიათ.

ვასილ ლობჟანიძე არის ყველაზე ახალგაზრდა მორაგბე, რომელსაც მსოფლიო თასზე უთამაშია 18 წლისა და 340 დღის ასაკში. მის შემდეგ მოედანზე გამოჩნდა გელა აფრასიძე და ახლა მათ რიცხვს თედო აბჟანდაძე შეემატა. სულ მალე ის მესამედ ითამაშებს 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს და უკვე მოასწრო ეროვნულ გუნდში 7 თამაშის ჩატარება. მას დებიუტი შარშან ნოემბერში სამოასთან ჰქონდა, რომლის დროსაც 12 ქულა მოიხვეჭა და წელს გუნდთან ერთად რაგბი ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

ლობჟანიძის მსგავსად, რომელმაც 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულებიდან ძალიან მალე მსოფლიო თასზე ითამაშა, აბჟანდაძესაც აქვს რეალური პერსპექტივა, რომ იგივე გაიმეოროს. მას ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილთონ ჰეიგი უმაღლეს შეფასებას აძლევს:

– ის რაგბისთვის ბუნებრივი მოთამაშეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერს ინსტინქტურად აკეთებს და ახალგაზრდა მორაგბისთვის თამაში ძალიან კარგად ესმის. მან ისე გადადგა ნაბიჯი უმაღლესი, საერთაშორისო რაგბისკენ, რომ უხერხულობა არ უგრძნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ნამდვილად გახდება მსოფლიო დონის მოთამაშე.

ჰეიგმა აღნიშნა, რომ არგენტინაში გასამართი 20-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის შემადგენლობიდან, აბჟანდაძე ერთადერთი არაა, რომელმაც შესაძლოა 2019 წლის იაპონიის მსოფლიო თასზე ითამაშოს:

– თედო უკვე არის მაღალი დონის საერთაშორისო მოთამაშე. ჩვენ ძალიან გვსურს ვნახოთ, აქვს თუ არა კიდევ ვინმეს ყველა საჭირო თვისება იმისათვის, რომ მსოფლიო თასისთვის გუნდის შემადგენლობაში ადგილი მოიპოვოს.

საქართველოდან არგენტინაში 17-საათიანი ფრენის შემდეგ, აბჟანდაძე მოუთმენლად ელის მოედანზე გასვლას:

– პირველ 20-წლამდელთა ჩემპიონატზე, რომელსაც საქართველომ უმასპინძლა, ასაკით ძალიან პატარა ვიყავი, სულ რაღაც 17 წლის და არ ვიცოდი წინ რა მელოდა. მეორე ჩემპიონატს უკვე გამოცდილი, ასე ვთქვათ, გაზრდილი შევხვდი და შესაბამისად ვემზადებოდი. შედეგად, ვფიქრობ პირველ და მეორე ტურნირს შორის, ჩემი თამაშის ხარისხი ბევრად უფრო გაუმჯობესებული იყო. ახლა მესამე მსოფლიო თასისთვის ვემზადები, მეტს ველოდები საკუთარი თავისგან და შევეცდები ეს მოლოდინი გავამართლო. 20-წლამდე მსოფლიო ჩემპიონატი, კაცთა მსოფლიო თასის შემდეგ, რანგით მეორე ტურნირია და მასში მონაწილეობამ ძალიან გამზარდა. დავინახე თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ პროფესიონალი გახდე და შენზე მაღალი რანგის გუნდებს ტოლსწორად ეთამაშო როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად.

აბჟანდაძემ 2017 და 2018 წლების 20-წლამდელთა ჩემპიონატების ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და მის თამაშს უდიდესი მნიშვნელობა ექნება გუნდისთვის, რომელსაც შარშანდელი შედეგის – მე-9 ადგილის გაუმჯობესება სურს.

იაპონიის ნაკრებთან ამაღელვებელ მატჩში 24:22 მოგებამ, გუნდს შარშან გასავარდნ ფლეი ოფში თამაში აარიდა და მას შემდეგ შოტლანდია 39:31 დაამარცხა.

– მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე გამორჩეული შეხვედრა გვქონდა, მათ შორის გამარჯვება არგენტინასთან 2017 წელს, მცირედით წაგება სამხრეთ აფრიკასთან და მოგება ირლანდიასთან 2018 წელს, იაპონიასთან მატჩი იყო ყველაზე დაძაბული და დასამახსოვრებელი. ამ მატჩის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, თითქმის მთელი თამაში მდევრის როლში ვიყავით, თითქოს ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ მიდიოდა, მაგრამ დასკვნით 10 წუთში მოვახერხეთ მობილიზება და ძალიან ძლიერ იაპონიის ნაკრებს, ეს თამაში მოვუგეთ.

წელს საქართველო ჯგუფურ ეტაპზე ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკისა და შოტლანდიის ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშებს:

– ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩი 12 ივნისს, შოტლანდიის ნაკრებთან გველის და თუ ამ შეხვედრის მოგებით თასის ნახევარფინალში გავალთ, ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი 20 წლის იუბილესთვის. ჩვენი უმთავრესი მიზანი კვლავ 20-წლამდელთა ჩემპიონატში ადგილის შენარჩუნებაა, თუმცა მაქსიმუმს გავიღებთ და ვეცდებით შარშანდელი შედეგის გაუმჯობესებას.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მილანი გატუზომ და ლეონარდომ დატოვეს

იტალიური მილანის ვებგვერდის ცნობით, ჯენარო გატუზომ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა.

გატუზო მილანს 2017 წლის ნოემბრიდან ავარჯიშებდა. სერიოზული წარმატება არ ჰქონია. ყველას იმედი ახლახან დასრულებული სეზონი იყო, მაგრამ მილანი 68 ქულით მე-5 ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს შედეგი მილანისთვის 2012-13 წლების სეზონის შემდეგ საუკეთესოა.

სწორედ ჩემპიონთა ლიგაზე ვერგასვლის გამო რინოს დაკავებული პოსტი დაატოვებინეს. აღსანიშნავია, რომ გატუზოს სახელფასო კომპენსაცია ეკუთვნოდა, მაგრამ იტალიელმა თავისივე სურვილით უარი თქვა და ეს იმით ახსნა, რომ მისი და მილანის ურთიერთობა ფულით არასდროს ისაზღვრებოდა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეცვლის გატუზოს. მილანელთა მომავალ დამრიგებლად სახელდებიან: სიმონე ინძაგი, ლეონარდო ჟარდიმი, მარკო ჯამპაოლო და ეუსებიო დი ფრანჩესკო.

აქვე გეტყვით, რომ მილანის დირექტორთა საბჭოში რეორგანიზაციის პროცესია. კლუბი სპორტულმა დირექტორმა, ლეონარდომ, დატოვა, პაოლო მალდინი კი, სავარაუდოდ, ახალ პოზიციაზე იმუშავებს.

მალდინიმ ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მიანიშნა, რომ იგი საბჭოში ფუნქციურად ნაკლებად დატვირთული იყო, რამაც პრესა კლუბიდან მის შესაძლო წასვლაზე აალაპარაკა. ლეგენდარული მცველი „როსონერის“ პრეზიდენტ პაოლო სკარონისა და აღმასრულებელ დირექტორ ივან გაზიდისს შეხვდა და სამომავლო გეგმები განიხილა.

როგორც ირკვევა, მილანის მფლობელ კომპანია „ელიოტ მენეჯმენტს“ მალდინის გაშვება არ სურს და მზადაა, სხვა თანამდებობა შესთავაზოს. „შავ-წითელთა“ სიმბოლომ მოსაფიქრებლად დრო ითხოვა.

შეგახსენებთ, რომ პაოლო მალდინის კლუბის დირექტორთა საბჭოში მუშაობა ჩინელმა მფლობელებმაც შესთავაზეს, თუმცა მაშინ მისგან უარი მიიღეს, ხოლო რაც მილანი ამერიკული კომპანიის მფლობელობაში გადავიდა, მალდინი სტრუქტურაში დასაქმდა და დირექტორთა საბჭოში დაახლოებით უკვე 1 წელია მუშაობს.

რეალი: აზარი მოდის, რამოსი მიდის

დიდი აღბათობით, ედენ აზარი მალე მადრიდის რეალის ფეხბურთელი გახდება. ესპანური კლუბის წარმომადგენლები ბაქოში ჩავიდნენ, სადაც ლონდონის ჩელსის ხელმძღვანელობას შეხვდნენ. როგორც ირკვევა, ლონდონის ჩელსი მზადაა, 28 წლის ბელგიელი თავდამსხმელი მადრიდის რეალში 130 მილიონ ევროდ გაუშვას.

თავიდან ლონდონური კლუბი აზარში 150 მილიონ ევროს ითხოვდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში უარს აცხადებდა ფასის დაკლებაზე. თუმცა, ინგლისური მედიის ინფორმაციით, ბოლოსდაბოლოს, ჩელსი დათმობაზე წავიდა.

ირკვევა ისიც, რომ „სამეფო კლუბი“ აზარს 4-წლიან კონტრაქტს გაუფორმებს და ხელფასად კვირაში 400.000 გირვანქა სტერლინგი ექნება. ხელშეკრულება 4 ივნისამდე გაფორმდება.

თავის მხრივ, რეალის ხელმძღვანელობა მზადაა, გუნდის კაპიტანსა და მცველს, სერხიო რამოსს ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში შეელიოს. როგორც ესპანური მედია წერს, მადრიდელთა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა 33 წლის ფეხბურთელს აცნობა, რომ მის გაყიდვას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუკი სანაცვლოდ 100 მილიონ ევროს ოდენობის შეთავაზებას მიიღებს.

რამოსმა თავად მიმართა პერესს თხოვნით, მისთვის კონტრაქტის გაწყვეტის საშუალება მიეცათ და თავისუფალი აგენტის სტატუსით, ჩინურ კლუბში გადასულიყო. ამის პასუხად პრეზიდენტმა ღიად განაცხადა, რომ გუნდის კაპიტანს უფასოდ ვერ შეელევა, რადგან ეს არცთუ კარგი პრეცედენტი იქნება.

ფლორენტინო პერესი:

– დღეს რეალში ყველაზე მსხვილი კონტრაქტი სერხიო რამოსს აქვს. ის კაპიტანი, საუკეთესო ფეხბურთელია და ამას სრულებით იმსახურებს. სერხიო რამოსი საკუთარი შვილივით მიყვარს. მითხრეს, რომ მას ჩინური კლუბიდან კარგი შეთავაზება აქვს, მაგრამ იქაური წესებით, კლუბს ტრანსფერის ფასის გადახდის საშუალება არ აქვს. ვუთხარი სერხიოს, რომ ეს შეუძლებელია – არ შეიძლება მადრიდიდან კაპიტანი უფასოდ მიდიოდეს, ეს საშინელი პრეცედენტი იქნება.

ჩინური კლუბის გარდა, ცოტა ხნის წინ მედიამ სერხიო რამოსის მომავალი ლივერპულსა და მანჩესტერ იუნაიტედსაც დაუკავშირა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

უიშვიათესი ალბინოსი პანდა კამერამ დააფიქსირა

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში მდებარე ვენჩუან-ულუნის ნაკრძალში უიშვიათესი დიდი პანდა-ალბინოსი ფოტოკამერამ დააფიქსირა. ეს ასეთი ცხოველის პირველი გამოსახულებაა ბუნებრივ პირობებში.

ავტომატურმა კამერამ, რომელიც ტყეშია დაყენებული, ბამბუკების დათვი აპრილის შუა რიცხვებში დააფიქსირა. მას სხეულზე ერთი შავი ლაქაც კი არ ეტყობა, ხოლო თვალები ვარდისფერი აქვს.

პეკინის უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომელმა ლი ჩენმა განაცხადა, რომ ცხოველის ასაკი ერთი-ორი წელია.

– პანდა ღონივრად გამოიყურება და კარგად გადაადგილდება, ეს კი იმის ნიშანია, რომ გენეტიკურმა მუტაციამ მას ცხოვრება ძალიან ვერ გაურთულა, – განაცხადა ჩინელმა მეცნიერმა. თუმცა მან იქვე აღნიშნა, რომ ასეთი ცხოველები მტაცებლებისთვის უფრო ადვილი შესამჩნევები არიან და მზის სხივებსაც ცუდად იტანენ.

ქალმა ტყეში 17 დღე მწერების ჭამით გაძლო

ამერიკის ჰავაის კუნძულ მაუიზე მაშველებმა 17 დღის წინ დაკარგული ქალი იპოვეს.

35 წლის ამანდა ელერი 8 მაისს სატყეო ნაკრძალის მაკავაოს ტერიტორიაზე იმ დროს დაიკარგა, როდესაც იქ ჰაკინგით იყო დაკავებული. ხელისუფლებამ მისი თეთრი ფერის ტოიოტა რავ4-ი ტყის მახლობლად მდებარე ავტოსადგომზე გაჩერებული იპოვა. მანქანის სალონში ნახეს მისი მობილური ტელეფონი, საფულე და წყლის ბოთლი. მანქანის გასაღები წინა მძღოლის მხარეს ბორბლის ქვეშ იყო დამალული.

სამძებრო ოპერაციის ორგანიზება ქალის მშობლებმა განახორციელეს. მის მპოვნელს ჯილდოდ 10 ათას დოლარს შეპირდნენ. მოგვიანებით ეს თანხა ხუთჯერ გაიზარდა. 24 მაისს ქალი შვეულმფრენიდან შენიშნეს, მისი ავტომობილიდან ექვს კილომეტრში. მას ეცვა მსუბუქი მაისური, სპორტული შარვალი. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

17 დღის ტყეში გატარების შედეგად ამანდა ელერმა მზის დამწვრობა მიიღო, მოიტეხა ფეხი და დაიზიანა ქუსლები. დაკარგა ფეხსაცმელი. საავადმყოფოში ფიზიოთერაპევტმა და იოგას ინსტრუქტორმა განაცხადა, რომ ის მისთვის ნაცნობი მარშრუტით სასეირნოდ იყო წასული, თუმცა ბილიკები აერია და სხვა გზას დაადგა.

– უკან მინდოდა დაბრუნება, მაგრამ სულ სხვა მხარეს წავედი. ჩვეულებრივ საკუთარ ინსტინქტს ვენდობი, თუმცა ამჯერად ამან დამაღალატა, – განმარტა ქალმა.

ელერის თქმით, მას ეგონა, რომ თავის მანქანასთან ბრუნდებოდა, ამ დროს კი ის ტყის სიღრმეში შედიოდა.

– ისე სწრაფად ვიკლებდი წონაში, რომ გადარჩენაში უკვე ეჭვი მეპარებოდა, – აღნიშნა ელერმა. მან ხევში გადაჩეხვის დროს ფეხი მოიტეხა. ის ძლივსღა ახერხებდა მოძრაობას და საკვების მოპოვებას. ღამით ფოთლებს იფარებდა და ტალახში იძინებდა. ჭამდა ყველაფერს, რაც კი ხელში მოხვდებოდა. კენკრას, მისთვის უცნობ მცენარეებს, მწერებს, რომლებიც მას სხეულზე ახოხდებოდნენ.

ელერი საავადმყოფოდან 26 მაისს გამოეწერა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ექვსმეტრიანმა პითონმა ქალი დაასახიჩრა

მალაიზიელი ქალბატონი ექვსმეტრიანი პითონის თავდასხმის ობიექტად იქცა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივ საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ინციდენტი შაბათს, 25 მაისს მოხდა. როდესაც 47 წლის ხალიფა ოტმანი სახლიდან ნაგვის გასატანად გავიდა, მას ფეხზე ექვსმეტრიანი გველი შემოეხვია. ქალის ყვირილზე მის დასახმარებლად მისმა მოზარდმა შვილებმა მოდ რასულ აბდულამ და მოდ აზიზმა მიირბინეს. მათი მცდელობა პითონი დედისთვის მოეშორებინათ, უშედეგო აღმოჩნდა.

როდესაც რამდენიმე ადგილობრივმა მცხოვრებმა დაინახა თუ რა გასაჭირში იყო ქალი, მის დასახმარებლად მიირბინეს და პითონი მაჩეტეებით მოკლეს. ხალიფა ოტმანი, რომელსაც დაზიანებები აღენიშნებოდა ფეხებზე, ხელებსა და თავზე, სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.

– დედაჩემი ცუდად გამოიყურება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში რასულ აბდულამ, – გველი კი სახლის მახლობლად ორმოში ჩავფალით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 მაისისთვის

ვერძი – ოჯახში ჰარმონიული ატმოსფერო სუფევს. მატერიალური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. **კურო** – ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. ერიდეთ კამათსა და საქმის გარჩევებს. მიიღეთ მხოლოდ მსუბუქი საკვები. **ტყუპები** – ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. წვრილმანებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. დაბრკოლებების გადალახვაში მეგობრები დაიხმარეთ. **კირჩხიბი** – იზრუნეთ ახლო ნათესავებზე. თუ შესაძლებლობა მოგეცემათ, მათ მატერიალურად დაეხმარეთ. **ლომი** – არავინ მოატყუოთ. პირობა შეასრულეთ. კარგი დღეა შემოქმედითი თვალსაზრისით. **ქალწული** – გრანდიოზულ მიზნებს ნუ დაისახავთ. უმჯობესია, დარჩენილი საქმეები დაამთავროთ. **სასწორი** – პასიური დღეა. უპრინციპობა და სიზარმაცე თქვენს საქმიანობაზე ნეგატიურად აისახება. **ღრიანკალი** – ქრონიკულ დაავადებებს ნებაზე ნუ მიუშვებთ. დროულად იმკურნალეთ. გათავისუფლდით ყოველგვარი წყენისაგან. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ აქტიურად. ასევე კარგი იქნება შემოქმედებით სფეროში საქმიანობა. **თხის რქა** – ბიზნესში გიმართლებთ. პარტნიორებთან შეხვედრა თქვენ სასარგებლოდ დამთავრდება. **მერწყული** – გარემოს შეცვლა, მოგზაურობა ნერვებს დაგიმშვიდებთ. მოგიხდებათ ასევე სპორტი, ცურვა, ფიტნესი. **თევზები** – რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. სიტუაცია ადეკვატურად შეაფასეთ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ბანგლადეშის დედაქალაქი; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. წყალსა და წებოში გახსნილი სახატავი საღებავი; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 9. ქართველი მშვილდოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სვანური ლირიკული სიმღერა; 11. ძველებური ცხენშებმული, მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 14. ბრიტანელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 18. ეგრისის მეფე მეექვსე საუკუნეში.

თარაზულად: 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი საფანტი; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარ მერქნიანი ფოთლოვანი ხე; 8. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 12. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ფრანგული პური; 17. ტბა კანადა-აშშ-ს საზღვარზე; 19. მდინარე მადრიდში; 20. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 21. „ფორმულა-1“-ში მონაწილე გერმანელი ავტომრბოლელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სპიდვეი; 2. იამოტო; 3. ჩატურანგა; 4. სტამბა; 5. რელიქვია; 7. რენო; 11. ინგლისი; 13. სიმენსი; 15. ღალღა; 16. ფეოლა; 18. ვისკი; 19. ბრასი.

თარაზულად: 6. პიარნუ; 8. ვახშამი; 9. იზაბელა; 10. ვალონია; 12. გოთუა; 14. სატივე; 17. გემოვნება; 20. გეიმერი; 21. აღლუმი; 22. კრისტი; 23. ჯარგვალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. წოდა; 2. ალუვი; 3. კიევო; 5. ანიელი; 6. კიმიგაიო; 9. კონსილიუმი; 10. ბალახვანი; 11. სეგიდელია; 14. ემუ; 16. გვრინი; 18. ხადა.

თარაზულად: 1. წულაძე; 4. აკაპულკო; 7. სუდოკო; 8. ვიმპელი; 12. გნომა; 13. ლესოტო; 15. ნადალი; 17. სია; 19. კულტივატორი; 20. სიდრი; 21. ჩაროზი.

რეზო ამაშუკელმა სოფი ლორენს იტალიის სასამართლოში უჩივლა

პოეტმა რეზო ამაშუკელმა იტალიელ მსახიობს სოფი ლორენს სასამართლოში უჩივლა. როგორც პოეტმა განაცხადა, მან უკვე შეიტანა საჩივარი იტალიის სასამართლოში.

ამის მიზეზი 40 წლის წინ მოსკოვში ჩატარებული კინოფესტივალი გახდა, სადაც სოფი ლორენი რეზო ამაშუკელს ძალიან დააშტერდა.

რეზო ამაშუკელი:

– საჩივარი შევიტანე იტალიის სასამართლოში. ვუჩივი სოფი ლორენს და კატარინა ვალენტინას. 40 წლის წინ მოსკოვში იყო კინოფესტივალი, ჩემ წინ ისხდნენ სოფი ლორენი და კატარინა ვალენტინა და ძალიან დამაშტერდნენ. სექსუალური ძალადობა ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ნანა ხურითი მთავრობის ინიციატივებით გაკვირვებულია

სოხუმის თეატრის მსახიობი ნანა ხურითი მთავრობის წარმომადგენელთა ინიციატივებით გაკვირვებულია:

– განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ა.შ. ეკონომიკა ჯერ არ არის ამათთან, ხო?! მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე ბრძანებს: „21-ე საუკუნეში უკვე აღარაა მნიშვნელოვანი იცოდე მათემატიკის კონკრეტული ფორმულები, ან კიდევ ფიზიკის. უნდა აღიზარდოს მოქალაქე.“

რა მაინტერესებს იცით? რა პროფესიის ადამიანია ქალბატონი და რატომ დანიშნეს იქ, სადაც არის? თუ უბრალოდ კარგი მოქალაქეა? და ვინ დაადგინა მისი კარგმოქალაქეობა? არ გაგვაგიჟოთ, ოღონდაც რა მართლა.

ბუბა ხოტივარი თბილისის მერიას ინიციატივით მიმართავს

რეჟისორი ბუბა ხოტივარი თბილისის მერიას ინიციატივით მიმართავს და პენსიონერთა დასაქმებისთვის საინტერესო წინადადებას სთავაზობს:

– წინადადება მერიას: უცხოეთის ზოგ ქალაქში მერია ქმნის პენსიონერთა ჯგუფებს, რომლებიც აკონტროლებენ ქალაქის ან დასახლების ეზოებსა და სხვადასხვა ადგილების სანიტარულ მდგომარეობას, გამოავლენენ დაბინძურებულ ზონებსა და აჯარიმებენ დამბინძურებლებს. მათი შიშით ეზოებსა და ქუჩებში აღარ ყრიან ნაგავს, ეფექტი მეტად სერიოზულია. თუ ეზოს დამნაგვიანებელი ვერ გამოვლინდა, აჯარიმებენ მთელ სახლს.

ზოგ შემთხვევაში კონტროლიორებს აქვთ ხელფასი, ზოგან ჯარიმების პროცენტს იღებენ. გარდა ამისა, მოხუცებს საქმე ეძლევათ, რითაც მეტად კმაყოფილნი არიან.

მესმის, ჩვენთან ამის უცბად დანერგვა თავიდან შეიძლება გაჭირდეს, მაგრამ, მგონია, რომ იმოქმედებს, ჯარიმის შიშით ხომ ვიკრავთ ღვედებს? ვიცი, რომ ვერავითარი შეგონებითა და აღზრდის პრინციპებით ჩვენ ხალხს ვერ მოთოკავ ნაგვის დაყრის სიამოვნებისაგან. მხოლოდ ჯიბეზე დარტყმით აღწევენ ხოლმე შედეგს. ასეა ყველგან.

ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი კინოს სახლში აჩვენეს

ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ ექვთიმე ღვთისკაცზე გადაღებული დოკუმენტური ფილმი კინოს სახლში აჩვენეს.

საქართველოს კინოაკადემიის ლურჯ კინოდარბაზში შეკრებილმა მაყურებელმა რეჟისორ ანდრო ჭიაურელის დოკუმენტური ფილმი „ექვთიმე“ ნახა.

ფილმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთითა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა. იგი ქართველი საზოგადო მოღვაწის ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც წმინდა სინოდის სხდომამ წმინდანად შერაცხა.

„ექვთიმეს“ სცენარის ავტორია ნინო ნატროშვილი, ოპერატორი კახა ბუხრაშვილი, ხოლო პროდიუსერი რუსუდან ჭყონია.

ჩვენებაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლო.

ოკაცეს ჩანჩქერის ინფრასტრუქტურული პროექტი 1.100.100 ლარით დაფინანსდა

ოკაცეს ჩანჩქერი ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ კინჩხაში მდებარეობს. ჩანჩქერის ინფრასტრუქტურული პროექტი 1.100.100 ლარით დაფინანსდა.

ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლი ვიზიტორებს უკვე ელის. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ადგილზე მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ბილიკები, პლატფორმები და აშენდა ვიზიტორთა ცენტრი.

გიორგი პაპკიაური: „მსოფლიო რეალითი-შოუს „ამტანების“ გამარჯვებული ქვეყანა საქართველოა“

ასე მიაჩნია მომღერალსა და მხატვარს გიორგი პაპკიაურს და თავის განცხადებაზე არგუმენტირებული პასუხიც აქვს:

– მსოფლიო რეალითი-შოუს „ამტანების“ გამარჯვებული ქვეყანა საქართველოა.

რა არ გამოვიარეთ... უშუქობა, უწყლობა, სიცივე, შიმშილი, ომი, ტალონები, ნავთის რიგები, ვირუსები და კიდევ უამრავი რამ, მაგრამ გადავრჩით!

დღესაც გრძელდება ეს შოუ „ამტანები“.

ტელევიზია, ინტერნეტი და წყალი ერთდროულად გაითიშა და დავაფიქსირე... რეაქცია არ მქონდა.

ზოგ ქვეყანაში დენის წასვლისას ხალხი ფანჯრებიდან ხტება. მოკლედ, ფსიქოლოგიურად გაკაჟებულები ვართ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალეიდოსკოპი

ქალმა სვირინგის სანაცვლოდ სახიფათო ინფექცია მიიღო

ინგლისის ესექსის საგრაფოს ქალა უიკფორდის მცხოვრებმა სვირინგის ოსტატთან ვიზიტის შემდეგ სიცოცხლისთვის საშიში ინფექცია აიკიდა.

ნენსი ანდერსონი ტატუ-სალონში მიღებაზე ჩაწერას ცდილობდა, თუმცა ყველა ოსტატი დაკავებული აღმოჩნდა. მაშინ მეგობრებმა ის სვირინგების ოსტატთან მისვლაზე დაითანხმეს, რომელიც კლიენტებს სახლში ემსახურებოდა. გოგონა იხსენებს, რომ ე.წ. ოსტატი არ იცავდა ჰიგიენის ნორმებს და სამუშაოს დაწყებამდე ნემსიანი აპარატი დამცავ შეფუთვაში არ ჰქონდა შენახული. მისი თქმით, მამაკაცმა განუცხადა, რომ ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

20 წლის გოგონამ აღიარა, რომ ხუთსაათიანი სეანსი მეტად მტკივნეული აღმოჩნდა.

– საშინელება იყო, იძულებული გავხდი შემეჩერებინა, – განაცხადა გოგონამ. მეორე დღეს ანდერსონს ხელი დაუბუჟდა. მან სასწრაფოდ საავადმყოფოს მიმართა, სადაც მას სიცოცხლისთვის საშიში ინფექცია დაუდგინეს.

ექიმებმა გოგონას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, გაუკეთეს ანტიბიოტიკები. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

ჩინელებმა მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მატარებელი წარმოადგინეს



ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე სწრაფი მატარებლის პროტოტიპი იქნა წარმოდგენილი.

კონსტრუქტორების პროექტით, მატარებელი მაგნიტური ველის საშუალებით იმოძრავებს და საათში 600 კილომეტრი სიჩქარის განვითარებას შეძლებს. პირველი მატარებელი ქალაქ ცინდაოს ჩინეთის სახელმწიფო კორპორაციის ამწყობ ხაზის ქარხანაში გამოუშვეს.

მისი შემქმნელები ამტკიცებენ, რომ ახალი მატარებლის ამოქმედება, სრულიად შეცვლის წარმოდგენას მოგზაურობაზე.

– მაგალითისთვის ავიღოთ მანძილი პეკინსა და შანხაის შორის. გამგზავრებისთვის მომზადების დროის გათვალისწინებით, ჰაერით მის გავლას 4,5 ან რკინიგზით 5,5 საათი დასჭირდება. ახალი მატარებლით კი ეს დრო 3,5 საათამდე შემცირდება, – განაცხადა სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ინჟინერმა დინ სანსანმა.

ხელისუფლება ახალი მატარებლის ამოქმედებას 2021 წლისთვის გეგმავს.

მამაცმა გოგონამ დედა მძარცველისგან დაიცვა

არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში 11 წლის გოგონამ მძარცველს წაართვა სკუტერი, რომლის გატაცებასაც ის ცდილობდა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ინციდენტი გასულ კვირას საღამოს საათებში მოხდა. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ მიირბინა სკუტერზე მჯდომ ქალთან მამაკაცმა. ის ცდილობს, ქალი სატრანსპორტო საშუალებიდან მისი გატაცების მიზნით გადმოაგდოს.

ამ დროს კიბეზე ეშვება პატარა გოგონა, რომელიც მომხდარს თვალს ადევნებდა. მან მძარცველს სახეში დაარტყა და შემდეგ დედასთან ერთად მოახერხა მისი გაგდება. გოგონამ გაქცეულის გაკიდებაც კი სცადა, მაგრამ დედამ შეაჩერა.

დედა-შვილმა დავარდნილი სკუტერი წამოაყენეს და შენობაში დაბრუნდნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მძარცველი გაიქცა და არ დაუპატიმრებიათ.

სასადილოდ წასული მამაკაცი მულტიმილიონერი გახდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ შარლოტის მკვიდრმა სასადილო შესვენების დროს ლატარია ითამაშა და მულტიმილიონერი გახდა.

ჯეიმს ბელიჩმა სასადილო შესვენების დროს ლატარიის ბილეთი იყიდა და მაშინვე შეამოწმა თამაშის შედეგები. იღბლიანმა ბილეთმა მას მთავარი პრიზი 10 მილიონი დოლარი მოუტანა.

– შენ ყოველთვის გაქვს რაიმეს მოგების იმედი, მაგრამ არა 10 მილიონის, – ამტკიცებს ამერიკელი, – ასეთი რამ აზრადაც არ მომსვლია.

თამაშის წესებით ბელიჩს შეეძლო აერჩია მოგებული თანხა მიეღო ნაწილ-ნაწილ, 20 წლის მანძილზე წელიწადში 500 ათასი დოლარი, ან ერთიანად მიეღო 6 მილიონი დოლარი. მან მეორე ვარიანტი არჩია და გადასახადების გადახდის შემდეგ 4,3 მილიონი დოლარი მიიღო.

იღბლიანი ამერიკელი მოგებული ფულით ვალების გასტუმრებას, საცხოვრებელი სახლის გაფართოვებას და შვილების აღზრდას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

30 მაისისთვის

- აშშ დოლარი — 2.7876
- ევრო — 3.1182
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5338
- 100 რუსული რუბლი — 4.3125

ამინდის პროგნოზი 30 მაისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

28 მაისიდან

მარკ ტვენი

ტომ სოიერის თავგადასავალი

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

21 მაისიდან

ძმები გრიმები

ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

30 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

ქმარი სახლში გვიან ღამით დაბრუნდა და თითისწვერებზე მიიპარა საწოლთან. ამ დროს ცოლს გაეღვიძა და ეკითხება:

– აბა, ამჯერად რას მოიგონებ თავის გასამართლებლად?

– არაფერს.

– და გგონია დაგიჯერებ?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა იყო, ბიჭო, თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– საყვარელი ქალის გამო ვიჩხუბე.

– ვისთან?

– ცოლთან...

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– ძვირფასო, როდესაც დავქორწინდებით, ყველა შენ შეშფოთებასა და საზრუნავს შენთან ერთად გავიზიარებ...

– კი მაგრამ, საყვარელო, არც არაფერი მაქვს შემაშფოთებელი და არც საზრუნავი!

– ხომ გეუბნები, როდესაც დავქორწინდებით.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– თვითმფრინავს პროპელერები რისთვის აქვს?

– პილოტი რომ არ გაოფლიანდეს.

– რას მეუბნები?

– სერიოზულად. ერთხელ ვნახე, პროპელერი გაუჩერდა და იცი, პილოტი როგორ გაოფლიანდა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ნეიმარს მუხლი ისევ აწუხებს

ნეიმარმა ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლის ტკივილი იგრძნო და ვარჯიში დროზე ადრე დაასრულა. ნეიმარს შესაძლოა მუხლის ტრავმა გაუმიზეზდა, რადგან მას ეს ტრავმა დიდი ხანია აწუხებს და ამის გამო წლევანდელ სეზონში 2 თვე გამოტოვა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ამჟამინდელი დაზიანება, მაგრამ ნეიმარს სამედიცინო შემოწმების გავლა მოუწევს.

კოპა ამერიკა 14 ივნისს აიღებს სტარტს და ის ბრაზილიაში ჩატარდება, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ბრაზილიელები ამ ტურნირის მთავარი ფავორიტები არიან.

იუვენტუსი მაურისიო სარის თავს არ ანებებს

იუვენტუსი კვლავინდებურად ახალი მწვრთნელის ძიებაშია და მთავარი პრიორიტეტი ჩელსის თავკაცი მაურისიო სარია. ჯერჯერობით სარი თავის მომავალზე არ საუბრობს, თუმცა იუვენტუსის პრეზიდენტი ანიელი ბაქოში ჩაფრინდა, სადაც იმ სასტუმროში განთავსდა, რომელშიც სარი იმყოფება.

ცხადია, რომ ეს შემთხვევით არ მომხდარა და იუვენტუსი სარისთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ივნისში ყველაფერი ცხადი გახდება.

ჟორჟინიო ვეინალდუმი: „ჯერჯერობით მშვიდად ვართ“

ლივერპულის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ჟორჟინიო ვეინალდუმმა ჩემპიონთა ლიგის ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ ლივერპულში ჯერჯერობით სიმშვიდეა და ისინი ფინალის გამო არ ნერვიულობენ. ვეინალდუმის აზრით, ფინალის ფავორიტი ლივერპულია, მაგრამ ფინალში შეიძლება ყველაფერი მოხდეს:

– ჩვენ ფინალისთვის ვემზადებით და, ბუნებრივია, ცოტათი აღელვებულები ვართ, მაგრამ არ ვნერვიულობთ. მოედანზე შეიძლება ნებისმიერი რამ მოხდეს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. მჯერა, რომ გავიმარჯვებთ.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი 1 ივნისს მადრიდში გაიმართება.

იუვენტუსი ისკოში 60 მილიონს იხდის

ტურინის იუვენტუსი მზად არის, ისკოს ტრანსფერში რეალს 60 მილიონი გადაუხადოს. იუვენტუსს ისკოს ყიდვა დიდი ხანია სურს, მაგრამ ჯერჯერობით უშედეგოდ, რადგან თვითონ ფეხბურთელს რეალიდან წასვლა არ უნდა.

ამჯერად შესაძლოა ყველაფერი სხვანაირად იყოს, რადგან ზიდანმა ისკოს უთხრა, რომ მომავალ სეზონში ის ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იქნება.

გარდა ამისა, იუვენტუსი მზად არის, ესპანელ ფეხბურთელს მაღალი ანაზღაურება დაუნიშნოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ჟანგბადის ნაკლებობა სისხლში; 2. ჩარხზე მომუშავე ოსტატი; 3. საჭმლის მომზადების ხელოვნება; 4. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთოლი; 5. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ამერიკული ფირმა; 7. გრძელბეწვიანი ტიბეტური ხარი; 11. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება; 13. რიგითი მეზღვაური; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური იტალიაში; 16. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. რაიმე ელემენტების პერიოდული, თანაბარზომიერი მონაცვლეობის სიჩქარე; 19. სტანდარტული ფორმის კითხვარი ცოდნის შესამოწმებლად.

თარაზულად: 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 8. თაფლისგან მომზადებული მათრობელა სითხე; 9. ბალახზე, ფოთოლზე შეყინული ცვარი; 10. სიტყვის ბოლოსართი; 12. უჯრედებს შორის სივრცეებში, სადინარებში მიმოქცეული უფერული სითხე; 14. მდინარე მისისიპის შენაკადი; 17. საერთაშორისო საინფორმაციო ქსელი; 20. იტალიური ლიქიორი; 21. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 22. რაიონული ცენტრი სვანეთში; 23. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ფუ ფანგ დან შენ პიან
Fu fang dan Shen pian

გულის იშემიური დაავადებები, მაღალი ქოლესტერინი

ischemic heart disease
high cholesterol

მაი ვეი დი ჰუანგ ვან
Mai vei di huang van

ჭარბი ოფლიანობა

excessive sweating

ნუან გონ იუან ძ ვან
Nuan gong yun zi wan

ციკლის მოწესრიგება და უშვილობა

cycle regulation.
Infertility

სიაო ქ ვან + ლიუ ვეი დი ჰუანგ ვან
Xiao qe wan + liu vei di huang wan

არეგულირებს შაქრის დონეს სისხლში

regulates
sugar levels
in blood

ჩუან სიან ჩა თიაო ვან
Huan xiong cha tiao wan

თავის ტკივილი, გაცივება, სისუსტე

head ache, ill,
weakness

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/